გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

PMO Business Consulting

# ინსტიტუციური მოწყობის პროცესის დიზაინი

## ინტრუქციები მუნიციპალური ტყის მართვისთვის

საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა - ECO.Georgia

ანგარიში

# მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია PMO Consulting-ის მიერ

## 25 თებერვალი, 2025

**Prepared by**

სახელმძღვანელოს ანგარიშის სტრუქტურა მომზადებულია “PMO Consulting“-ის მიერ, **Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH**-ის მხარდაჭერით, პროექტის „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა – ECO.Georgia“ ფარგლებში


**მისამართი**

**PMO Consulting**
33-ე ი. ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი,
საქართველო


თებერვალი, 2025


**ავტორები:** ია წულაია

ანა თექთურმანიძე


**შენიშვნა**
პუბლიკაცია მომზადდა PMO Consulting-ის მიერ, ECO.Georgia პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) GmbH გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით. ამ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და შეხედულებები ეკუთვნის ავტორებს და არ ასახავს GIZ-ის და/ან BMZ-ის ოფიციალურ მოსაზრებას.

# სარჩევი


შესავალი ........ 5

**დოკუმენტის რუკა ........ Error! Bookmark not defined.**

**1. მოკლე მიმოხილვა ........ 5**

**2. შესრულებული სამუშაოს მიმოხილვა ........ 9**

**3. ადგილობრივი კონტექსტის მიმოხილვა ........ 10**

3.1. მუნიციპალური ტყის მართვის (MFM) კონტექსტი საქართველოში ........ **Error! Bookmark not defined.**

3.2. ეკონომიკური ასპექტები ........ 12

3.3 პოლიტიკური და მარეგულირებები ასპექტები ........ **Error! Bookmark not defined.**

**3.4 სოციალურ-კულტურული ასპექტები ........ Error! Bookmark not defined.**

**3.5 გარემოსდაცვითი ასპექტები ........ 17**

**3.6 რესურსები ........ 18**

**3.7 დაინტერესებული მხარეები ........ 20**

**4. მუნიციპალური ტყის მართვის არსებული სტრუქტურების მიმოხილვა ........ 22**

**4.1 ბულგარეთის მიდგომა მუნიციპალური ტყის მართვისადმი ........ 22**

**4.2 სლოვაკეთის მაგალითი ........ 24**

**5. მუნიციპალური ტყის მართვის ინსტიტუციური მოწყობის შემუშავების ჩარჩო ........ 26**

**5.1 გარე ფაქტორები ........ 28**

5.1.1 მარეგულირებელი ფაქტორები ........ 28

5.1.2. ეკონომიკური ფაქტორები ........ 29

5.1.4 პოლიტიკური ფაქტორი ........ 30

5.1.5. სოციალურ-კულტურული ფაქტორები ........ 30

5.1.6. ტექნოლოგიური ფაქტორები ........ 31

5.1.7. დაინტერესებული მხარეები ........ 32

**5.2 შიდა განზომილება ........ 34**

5.2.1 სტრატეგია ........ 34

5.2.2 სტრუქტურა ........ 35

5.2.3 კულტურა ........ 35

5.2.4 ხალხი ........ 36

5.2.5 სისტემები ..... **Error! Bookmark not defined.**

5.2.6 რესურსები ..... **Error! Bookmark not defined.**

**6. მუნიციპალური ტყის მართვის ინსტიტუციური მოწყობის დანერგვის პროცესის დიზაინი** . 40

შეფასების ფოკუსირებული სფეროები უნდა შეიცავდეს: ..... 57

**7. საბოლოო პროდუქტი** ..... 58

1. სიტუაციური ანალიზის ანგარიში ..... 58

2. SWOT ანალიზი ..... 58

3. ორგანიზაციული მოწყობის დოკუმენტი ..... 58

4. ფინანსური გეგმა და ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი (CBA) ..... 58

5. განხორციელების და გაშვების გეგმა ..... 59

**8. დასკვნა** ..... 59

## ცხრილთა ჩამონათვალი

დიაგრამა 1 - ზოგადი მოდელი ..... 27

დიაგრამა  2 - პროცესის დიზაინის ეტაპები ..... 40

*დიაგრამა 3 - გავლენა-ინტერესის მატრიცა*..... 42

*დიაგრამა 4 - მეორე ეტაპის პროცესი*..... 44

## აბრევიატურათა ჩამონათვალი

GIZ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
BMZ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო
MFM მუნიციპალური ტყის მართვა
SWOT სვოტ-ანალიზი
NTFPs ტყის არამერქნული პროდუქტები
FOA მუნიციპალური ტყეების ასოციაცია

# მოკლე მიმოხილვა

დოკუმენტი წარმოადგენს ყოვლისმომცველ ჩარჩოს, რომელიც საქართველოს მუნიციპალური ტყის მართვის (MFM) საუკეთესო და ყველაზე შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობის განვითარების პროცესს ეხება. სახელმძღვანელო მომზადებულია **Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH**-ის მხარდაჭერილი პროექტის-“ინსტიტუციური მოწყობის პროცესის დიზაინის და „SWOT-ანალიზის“ ინსტრუქციების შემუშავება მუნიციპალური ტყის მართვის შესაძლებლობების განვითარებისთვის“ ფარგლებში. ანგარიში აღწერს ადგილობრივ კონტექსტს, აფასებს არსებულ მმართველობით სტრუქტურებს, განსაზღვრავს ძირითად გამოწვევებს და ასახავს მუნიციპალურ დონეზე ტყის მართვის ინსტიტუციური მოწყობის განვითარების პროცესს.

მუნიციპალური ტყის მართვა (MFM) საქართველოში სატყეო სექტორის რეფორმის ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტად ჩამოყალიბდა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დეცენტრალიზაციასა და ადგილობრივი თემების ჩართულობაზე. ტყის მართვის პასუხისმგებლობის გადაცემა ცენტრალური დონიდან მუნიციპალურ ორგანოებზე მიზნად ისახავს ადგილობრივი მმართველობის გაძლიერებას, ეკონომიკური სარგებლის ზრდასა და გარემოსდაცვითი მდგრადობის უზრუნველყოფას. თუმცა, ამ პროცესს თან ახლავს მმართველობითი, ტექნიკური და ფინანსური გამოწვევები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია.

ანგარიში ეფუძნება მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც მოიცავს სამაგიდო კვლევას, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებსა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ანალიზს. ბულგარეთისა და სლოვაკეთის გლობალური მაგალითები იძლევა ღირებულ

შეხედულებებს მმართველობის მოდელებზე, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს საქართველოს მუნიციპალური ტყის მართვის ჩარჩოს.

დოკუმენტი განიხილავს ისეთ გარე და შიდა განზომილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინსტიტუციური მოწყობის დიზაინზე. შემდგომ იგი გვთავაზობს ექვსფაზიან განხორციელების გეგმას, რომელიც აერთიანებს ინსტიტუციურ დიზაინს, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას (სოციალური და გენდერული ინკლუზიის გათვალისწინებით), ფინანსურ დაგეგმვასა და შესაძლებლობების განვითარებას.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

1. **მმართველობა და ინსტიტუციური ჩარჩო**
   - მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო (მაგ. საქართველოს ტყის კოდექსი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი) წარმოადგენს მუნიციპალური ტყის მართვის საფუძველს, მაგრამ საჭიროებს უფრო მკაფიო სახელმძღვანელო მითითებებს მუნიციპალიტეტის ავტონომიისა და პასუხისმგებლობის შესახებ.
   - ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების შესახებ განკარგულების პროექტი (FoLI) განსაზღვრავს მართვის გადაცემის პროცესს, თუმცა არ შეიცავს ფინანსური მხარდაჭერისა და გარდამავალი პერიოდის დახმარების მექანიზმებს.
   - **რეკომენდაცია:** ჩამოყალიბდეს მკაფიო ინსტიტუციური მართვის მოდელი, რომელიც განსაზღვრავს ცენტრალური ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების როლებს, ასევე ზედამხედველობის მექანიზმებს. მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ცვლილებები მუნიციპალური ავტონომიის გასაძლიერებლად ეროვნულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.
2. **ტექნიკური შესაძლებლობები და ინფრასტრუქტურა**
   - მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ საჭირო გამოცდილება, კვალიფიციური პერსონალი და ინფრასტრუქტურა (მაგ., მონიტორინგის ტექნოლოგია და ტყის მართვის ინსტრუმენტები) ტყის მდგრადი მართვის განსახორციელებლად.
   - **რეკომენდაცია:** შემუშავდეს სტრუქტურირებული, გენდერულად მგრძნობიარე შესაძლებლობების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის თანამშრომლების (მათ შორის ქალ თანამშრომელთა) ტრენინგებს, თანამედროვე სატყეო ტექნოლოგიებში ინვესტირებასა და ცოდნის გაზიარების პლატფორმების შექმნას გამოცდილ სატყეო სპეციალისტებთან.
3. **ფინანსური მდგრადობა**
   - ტყეების მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემა არ მოიცავს პირდაპირ ფინანსურ მხარდაჭერას, რაც ეჭვსქვეშ აყენებს მათი მართვის გრძელვადიან მდგრადობას.
   - **რეკომენდაცია:** ჩამოყალიბდეს ფინანსური მოდელი, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო სუბსიდიებს, საჯარო-კერძო პარტნიორობას, ხე-ტყისა და არამერქნული პროდუქტებიდან შემოსავლების გამომუშავებას და ეკოტურიზმის ინიციატივებს.
4. **დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და საზოგადოების მონაწილეობა**
   - საზოგადოების ინფორმირებულობა და მონაწილეობა ტყის მართვაში დაბალია, ხოლო სოციალურ-კულტურული ბარიერები ზღუდავს ინკლუზიურ მმართველობას.

- **რეკომენდაცია:** დაინერგოს მონაწილეობაზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მრჩეველთა საბჭოების, ადგილობრივი კონსულტაციების და მიზანმიმართული საინფორმაციო კამპანიების საშუალებით. მონაწილეობის პროცესებმა აუცილებლად უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი ქალების ჩართულობაც.

5. **საუკეთესო პრაქტიკა და გაკვეთილები საერთაშორისო კვლევებიდან**
    - ბულგარეთისა და სლოვაკეთის მაგალითები ხაზს უსვამს სტრუქტურირებული მმართველობის მოდელებს, ფინანსური ავტონომიის მექანიზმებს და სათემო ტყის ინიციატივებს.
    - **რეკომენდაცია:** საერთაშორისო მოდელების საუკეთესო პრაქტიკის ადაპტირება, როგორიცაა მუნიციპალური სატყეო საწარმოების ინტეგრირება, გამჭვირვალე მმართველობის უზრუნველყოფა და საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეწყობა.
6. **განხორციელების გზამკვლევი**
    - დოკუმენტი გვთავაზობს ექვს საფეხურიან პროცესს, რომელიც მოიცავს ინსტიტუციურ შეფასებას, სტრატეგიისა და მმართველობის შემუშავებას, ფინანსურ დაგეგმვასა და მუდმივ მონიტორინგს.
    - **რეკომენდაცია:** პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა მიიღონ ეტაპობრივი, გენდერულად მგრძნობიარე მიდგომა, რომელიც განსაზღვრავს მკაფიო ეტაპებს და უზრუნველყოფს სისტემური შესაძლებლობების განვითარებას, ფინანსურ დაგეგმვას და პოლიტიკის ადაპტაციას, განხორციელების პროცესში წარმოშობილი გამოწვევების შესაბამისად.

## შესავალი

***ინსტიტუციური პროცესის დიზაინის ინსტრუქციები*** მომზადებულია Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში - **„ინსტრუქციების შემუშავება „პროცესის დიზაინი ინსტიტუციონალური მოწყობისთვის“ და „SWOT ანალიზი“, მათ შორის MFM შესაძლებლობების განვითარება.“**

დოკუმენტი მიზნად ისახავს დეტალური ინსტრუქციის შემუშავებას პროცესის დიზაინის შესახებ და პრაქტიკული ინსტრუმენტებით აღჭურვას, რათა გაანალიზდეს მუნიციპალური ტყის მართვის (MFM) ინსტიტუციური მოწყობისთვის ყველაზე შესაფერისი სცენარები. დოკუმენტი მოიცავს საქართველოში მუნიციპალური ტყის მართვის (MFM) ინსტიტუციური მოწყობის შეფასების ჩარჩოსა და დიზაინს. ის მიზნად ისახავს ადგილობრივი კონტექსტის, არსებული მმართველობითი სტრუქტურებისა და მუნიციპალური ტყეების მართვასთან დაკავშირებული შესაძლო გამოწვევების ყოვლისმომცველი მიმოხილვას. დოკუმენტი ემსახურება პოლიტიკის შემმუშავებლების, დაინტერესებული მხარეებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერას, საუკეთესო პრაქტიკებისა და რეკომენდაციების მიწოდებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მდგრადი და ტყის ეფექტიანი მართვის პროცესის დიზაინი.

## დოკუმენტის გზამკვლევი

დოკუმენტი შედგება რვა ძირითადი თავისგან, რომლებიც კატეგორიებად არის დაყოფილი:

1. **შესრულებული სამუშაოს მიმოხილვა**– უზრუნველყოფს პროექტის განხორციელების მეთოდოლოგიურ მიმოხილვას, აღწერს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესში გამოყენებულ მიდგომებს, ინსტრუმენტებსა და პროცესებს.
2. **სიტუაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს 2 ქვეთავს:**

   **2.1. ადგილობრივი კონტექსტის მიმოხილვა**– განიხილავს მუნიციპალური ტყის მართვის პრაქტიკებს, არსებულ ხარვეზებსა და გამოწვევებს საქართველოში ოთხი ძირითადი ასპექტის მიხედვით:

   - **ეკონომიკური**
   - **პოლიტიკურ-რეგულატორული**
   - **სოციალურ-კულტურული**
   - **გარემოსდაცვითი**
   - ასევე, განყოფილებაში განხილულია არსებული რესურსები და საქართველოს კონტექსტში მოქმედი ძირითადი დაინტერესებული მხარეები.

   **2.2. არსებული მუნიციპალური ტყის მართვის სტრუქტურების მიმოხილვა**– აანალიზებს ტყის მართვის მოდელებს ბულგარეთისა და სლოვაკეთის მაგალითზე, განსაზღვრავს საუკეთესო პრაქტიკებს, მმართველობის ჩარჩოებსა და ინსტიტუციურ მოწყობას, რომლებიც შეიძლება იყოს საქართველოსთვის გამოსადეგი.

3. **ინსტიტუციური მოწყობის პროცესის დიზაინი** მოიცავს:

   **3.1. მუნიციპალური ტყის მართვის ინსტიტუციური მოწყობის განვითარების ჩარჩო**– წარმოადგენს სტრუქტურირებულ შეფასების მოდელს, რომელიც განიხილავს ინსტიტუციური მოწყობის შეფასების პროცესს. ის განსაზღვრავს შიდა და გარე ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ MFM-ის მმართველობაზე, გადაწყვეტილებების მიღებასა და ოპერატიულ სტრუქტურებზე.

   **3.2. მუნიციპალური ტყის მართვის ინსტიტუციური მოწყობის განხორციელების პროცესის დიზაინი**– აღწერს ნაბიჯ-ნაბიჯ პროცესს, რომელიც მოიცავს მუნიციპალური ტყის მართვის ინსტიტუციური სტრუქტურის შემუშავებას და ჩამოყალიბებას სხვადასხვა ინსტრუმენტების, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობისა და შეფასების მოდელის საფუძველზე.

   **3.3. საბოლოო პროდუქტი/შედეგი** – განსაზღვრავს იმ საბოლოო დოკუმენტაციასა და შედეგებს, რომლებიც მიიღება განხორციელების პროცესის დასრულებისას.

4. **დასკვნა**– აჯამებს დოკუმენტის ძირითად მიგნებებს, შემოთავაზებულ ინსტიტუციურ გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს მუნიციპალური ტყის მართვის გაუმჯობესებას საქართველოში.

## 1. შესრულებული სამუშაოს მიმოხილვა

ამ ანგარიშის შემუშავება ეფუძნება ყოვლისმომცველ და მეთოდოლოგიურად მყარ მიდგომას, რომელიც აერთიანებს პირველადი და მეორეული კვლევის მეთოდებს. მისი მიზანი იყო შესაბამისი მონაცემების შეგროვება, არსებული ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზი, გამოწვევების იდენტიფიცირება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების მიწოდება მუნიციპალური ტყეების მართვისთვის (MFM) საქართველოში. შესრულებული სამუშაო მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

**სამაგიდო კვლევა და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა:** ჩატარდა ყოვლისმომცველი სამაგიდო კვლევა, რათა შეიქმნას საფუძველი საქართველოში მუნიციპალური ტყის მართვის ამჟამინდელი მდგომარეობის გასაგებად, საკანონმდებლო ჩარჩოების იდენტიფიცირებისთვის და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესასწავლად. ეს ეტაპი მოიცავდა:

- **ეროვნული პოლიტიკისა და კანონმდებლობის მიმოხილვა:**
    - საქართველოს ტყის კოდექსი
    - ტყის მართვასთან დაკავშირებული მთავრობის შესაბამისი განკარგულებები, დადგენილებები და სამართლებრივი აქტები
    - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
    - ტყის განვითარების კონცეფციები და სტრატეგიები
- **ანგარიშებისა და კვლევების ანალიზი:**
    - საქართველოს სატყეო სექტორის წინა შეფასებები
    - არსებული ანგარიშები მმართველობის, ფინანსური მექანიზმებისა და ინსტიტუციური გამოწვევების შესახებ
    - სტატისტიკური მონაცემები სამთავრობო ორგანოებიდან, როგორიცაა ეროვნული სატყეო სააგენტო (NFA), გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) და დაცული ტერიტორიების სააგენტო (APA).
- **საერთაშორისო და რეგიონალური კარგი პრაქტიკის მიმოხილვა**:
    - კარგი პრაქტიკის შესწავლა ტყის წარმატებული დეცენტრალიზებული მართვის სისტემების მქონე ქვეყნებიდან, მათ შორის ბულგარეთი, სლოვაკეთი და სხვა ევროპული მაგალითები.
    - ორიენტირებული ანალიზი ინსტიტუციურ მოდელებზე, საზოგადოების ჩართულობის სტრატეგიებსა და დაფინანსების მექანიზმებზე.

**საველე სამუშაოები და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები:** საველე სამუშაოების კომპონენტი მნიშვნელოვანი იყო პერსპექტივების დასაფიქსირებლად და მუნიციპალური ტყის მართვის განხორციელების პრაქტიკული გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებისთვის. ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუებისა და დისკუსიების სერია სამთავრობო ინსტიტუტებთან, მუნიციპალიტეტებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. კონსულტაციები გაიმართა შემდეგ დაინტერესებულ მხარეებთან:

- **ეროვნული დონის დაინტერესებული მხარეები:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო; სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.
- **ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები**: თბილისის მერია და სამიზნე მუნიციპალიტეტები, მათ შორის ახმეტა, ჩოხატაური და სხვები, რომლებიც შერჩეულნი არიან მუნიციპაური ტყის მართვის ინიციატივების საპილოტე პოტენციალის შესაბამისად; მერიის წარმომადგენლები და საკრებულოს წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გენდერულად ინკლუზიურ მიდგომას, რაც გულისხმობდა მუნიციპალიტეტის თანამშრომელი ქალების აქტიურ მონაწილეობას მმართველობის საკითხებზე განხილვებში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
- **სამოქალაქო საზოგადოება და თემის ექსპერტები:** დისკუსია ფოკუსირებული იყო მათი როლების, გამოცდილების და პოტენციალის იდენტიფიცირებაზე საზოგადოების ჩართულობისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალთა ხელმძღვანელობით მოქმედი ორგანიზაციებისა და ქალი ექსპერტების ჩართულობას, რათა კონსულტაციის პროცესში უზრუნველყოფილიყო მრავალფეროვანი ხედვები და ინკლუზიური მიდგომა.

# 2. სიტუაციის ანალიზი

## 2.1. ადგილობრივი კონტექსტის მიმოხილვა

*წინამდებარე თავი წარმოადგენს მუნიციპალური ტყის მართვის (MFM) მიმოხილვას საქართველოში და დეტალურად აანალიზებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ-კულტურულ და გარემოსდაცვით ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მის განვითარებაზე. თავი წარმოადგენს ფუნდამენტს არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გასააზრებლად, რაც აუცილებელია მუნიციპალური ტყის მართვის ეფექტიანი განხორციელებისთვის. წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება სამაგიდო კვლევას, საველე სამუშაოებსა და საუკეთესო პრაქტიკების ანალიზს.*

*ინსტრუქციის სახელმძღვანელოს ეს თავი მოიცავს შემდეგ ქვეპუნქტებს:*

- **მუნიციპალური ტყის მართვის კონტექტი-** საქართველოში მუნიციპალური ტყის მართვის განვითარების ზოგადი მიმოხილვისა და მის წინაშე მდგარი გამოწვევების მიმოხილვა.

- **ეკონომიკური ასპექტები:** განიხილავს ტყეების ეკონომიკურ როლს ადგილობრივი თემებისთვის, მათ შორის მათ წვლილს საარსებო წყაროსა და რეგიონულ განვითარებაში. ასევე მოიცავს მუნიციპალიტეტების ფინანსურ შეზღუდვებს ტყის რესურსების მართვისას.
- **პოლიტიკური და მარეგულირებელი ასპექტები:** ეს ნაწილი განიხილავს მუნიციპალური ტყის მართვის მოქმედ პოლიტიკურ და მარეგულირებელ გარემოს, აიდენტიფიცირებს შეზღუდვებსა და ხარვეზებს მიმდინარე პოლიტიკაში, მმართველობასა და საკანონმდებლო ჩარჩოებში.
- **სოციალურ-კულტურული ასპექტები:** იკვლევს ადგილობრივ თემებსა და ტყეებს შორის ურთიერთობას, ხაზს უსვამს ტრადიციულ პრაქტიკებს, საზოგადოების ჩართულობას და ტყეების სოციალურ მნიშვნელობას.
- **რესურსები:** ეს ნაწილი შეეხება ტყეების მართვის ტექნიკურ გამოწვევებს, როგორიცაა ინფრასტრუქტურა, ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები და ადგილობრივ დონეზე ექსპერტიზა.
- **დაინტერესებული მხარეების ჩართულობა:** აღნიშნული ფოკუსირებულია ძირითადი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაციაზე, ჩართულობასა და თანამშრომლობაზე.

### 2.1.1. მუნიციპალური ტყის მართვის კონტექსტი საქართველოში

ბოლო წლებში მუნიციპალური ტყის მართვა ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ პრიორიტეტად ჩამოყალიბდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოში სატყეო სექტორის რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. ეს რეფორმები, რომელთაც საქართველოს მთავრობა საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით ახორციელებს, ყურადღებას ამახვილებს ტყის მმართველობის დეცენტრალიზაციაზე, რაც გულისხმობს ტყის მართვის პასუხისმგებლობის ცენტრალური ხელისუფლებიდან მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემას. ეს ცვლილება არის გლობალური პროცესის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი ხელისუფლებების გაძლიერებას, თემების უფრო აქტიურ ჩართულობასა და ტყის რესურსების მდგრად მართვას.

პროექტი ECO.Georgia, რომელსაც ახორციელებს Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით, გადამწყვეტ როლს ასრულებს ამ რეფორმების წინსვლაში. პროექტი სპეციალურად შექმნილია საქართველოს მხარდასაჭერად მუნიციპალურ დონეზე ტყის მართვის მდგრადი, ეფექტური და ინკლუზიური პრაქტიკის დანერგვისთვის. შესაძლებლობების განვითარების, პოლიტიკის მხარდაჭერისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ECO.Georgia მიზნად ისახავს გადალახოს მმართველობაში არსებული ხარვეზები და გააძლიეროს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ტექნიკური, ფინანსური და ინსტიტუციური შესაძლებლობები.

მუნიციპალური ტყის მართვა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ადგილობრივი მმართველობის გაუმჯობესებისა და ტყის მართვის უფრო ლოკალიზებული, მონაწილეობითი მიდგომის უზრუნველსაყოფად. მუნიციპალიტეტებისათვის ტყის მართვის უფლებამოსილების გადაცემა საშუალებას აძლევს ადგილობრივ თემებს უფრო აქტიურად განკარგონ თავიანთი რესურსები, რაც აძლიერებს საზოგადოების ჩართულობას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას. ეს ლოკალიზებული მიდგომა არა მხოლოდ გარემოსდაცვითი მდგრადობის გაუმჯობესებას

უწყობს ხელს, არამედ ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობებსაც უქმნის მუნიციპალიტეტებს, მათ შორის:

- სამუშაო ადგილების შექმნა სატყეო ოპერაციების, ეკოტურიზმისა და მდგრადი რესურსების მოპოვების გზით;
- ხე-ტყისა და არამერქნული ტყის პროდუქტებიდან შემოსავლის გამომუშავება (NTFPs);
- ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება, როგორიცაა საფეხმავლო ბილიკები, რეკრეაციული ზონები და ვიზიტორთა მომსახურება;
- ენერგოეფექტურობა მდგრადი გათბობის გადაწყვეტილებებისა და ტყის ბიომასის გამოყენებით.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალური ტყის მართვა გულისმობს მნიშვნელოვან შესაძლებლობებს, არსებობს რამდენიმე გამოწვევა, რომელიც უნდა გადაიჭრას წარმატებული განხორციელების უზრუნველსაყოფად. ეს გამოწვევებია:

- **მმართველობის ხარვეზები:** მუნიციპალიტეტები ხშირად აწყდებიან ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა გაურკვეველი როლები, პასუხისმგებლობების გადაფარვა და შეზღუდული ინსტიტუციური ჩარჩო.
- **ტექნიკური შეზღუდვები:** ადგილობრივ ხელისუფლებას არ გააჩნია საკმარისი გამოცდილება, ინფრასტრუქტურა და ტყის მდგრადი მართვისთვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა.
- **ფინანსური შეზღუდვები:** ტყის მართვის სისტემების ჩამოყალიბება და შენარჩუნება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს პერსონალის, აღჭურვილობის, მონიტორინგისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

ამ გამოწვევების გადაჭრა მოითხოვს ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც აერთიანებს შესაძლებლობების განვითარებას, ინსტიტუციურ გაძლიერებას და ფინანსურ მხარდაჭერას მუნიციპალიტეტებისთვის ტყეების ეფექტური მართვისთვის საჭირო ინსტრუმენტებითა და რესურსებით აღჭურვისთვის. გარდა ამისა, ცენტრალურ ხელისუფლებას, მუნიციპალიტეტებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ადგილობრივ თემებს შორის უფრო მეტი თანამშრომლობის ხელშეწყობა აუცილებელია ტყის მდგრადი და ინკლუზიური მართვის შედეგების მისაღწევად.

ტყის მართვის პრაქტიკის მდგრადობასა და ინკლუზიურობაზე ფოკუსირებით, საქართველოს აქვს შესაძლებლობა მუნიციპალური ტყის მართვა გამოიყენოს, როგორც სოფლის განვითარების, გარემოს დაცვისა და სოციალური თანასწორობის მამოძრავებელი ძალა, რაც უზრუნველყოფს, რომ მისი ტყეები გააგრძელებენ სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურებას მომავალი თაობებისთვის.

### 2.1.2. ეკონომიკური ასპექტები

ტყეები გადამწყვეტ ეკონომიკურ როლს ასრულებენ ადგილობრივი თემებისთვის, რაც წარმოადგენს საარსებო წყაროს და ხელს უწყობს რეგიონულ განვითარებას. ტყის სახეობიდან და რესურსებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ მიიღონ როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ეკონომიკური სარგებელი.

მატერიალური სარგებელი:

- **სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი ეკონომიკური ზრდა:** ტყეების მართვა ადგილობრივ დონეზე ხელს უწყობს დასაქმების შესაძლებლობების შექმნას სატყეო საქმიანობაში, ეკოტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებებში, რაც ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას უწყობს ხელს. ტყის მართვის, გიდობისა და გარემოსდაცვითი პროექტების მიმართულებით სამუშაო ადგილებზე ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გენდერულად ინკლუზიური სტრატეგიის მეშვეობით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქალთა დასაქმების წახალისებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ხის გადამუშავება, რეინჯერების მომსახურება და ტყეზე დაფუძნებული ბიზნესები, რომლებიც ისტორიულად მამაკაცთა დომინირებულ სფეროებად ითვლებოდა.
- **შემოსავალი ტყის პროდუქტებიდან:** მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ შემოსავლის გენერირება მდგრადი რესურსგამოყენების გზით, მათ შორის კენკრის, სოკოსა და სამკურნალო მცენარეების მოპოვებით, ასევე ხის და მერქნის გაყიდვით შესაბამისი ნებართვების გაცემის გზით. იმისათვის, რომ ქალების ეკონომიკური ჩართულობა გაიზარდოს, მნიშვნელოვანია, მათ, როგორც არამერქნული სატყეო პროდუქტების (NTFPs) მთავარ შემგროვებლებს, ჰქონდეთ სამართლიანი წვდომა ლიცენზიებზე, გადამზადებაზე და ბაზარზე წვდომის შესაძლებლობებზე.
- **ეკოტურიზმი და რეკრეაციული სერვისები:** ტყეები გვთავაზობენ ეკოტურიზმის აქტივობებს, როგორიცაა კემპინგი, ლაშქრობა და რეკრეაციული ზონები. ამ სერვისების განვითარებით მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ სტუმრების მოზიდვა და ადგილობრივი ბიზნესის გაძლიერება, როგორიცაა საოჯახო სასტუმროები და რესტორნები. ქალებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ ეკოტურიზმის სფეროში, რომელიც მოიცავს საოჯახო სასტუმროების მართვას, ადგილობრივი პროდუქტების წარმოებასა და ტურების ხელმძღვანელობას. ქალთა აქტიური მონაწილეობა ეკოტურიზმის დაგეგმვასა და შემოსავლების განაწილების მექანიზმებში ხელს შეუწყობს უფრო სამართლიან და ინკლუზიურ ეკონომიკურ სარგებელს მთელი საზოგადოებისათვის.
- **სასოფლო-სამეურნეო და რესურსებზე დაფუძნებული სერვისები:** ისეთი აქტივობები, როგორიცაა თევზის მოშენება, ცხოველთა ძოვება და ტყის ზონებში პლანტაციების მეურნეობა, უზრუნველყოფს დამატებით შემოსავალს. ქალთა მონაწილეობა აგროტყეო მეურნეობასა და მდგრადი სოფლის მეურნეობის პროექტებში უნდა წახალისდეს ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის, ფინანსური დახმარებისა და შესაძლებლობების განვითარების გზით. გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს არსებული უთანასწორობა მიწის საკუთრებასა და სოფლის მეურნეობის დაფინანსებაში, რაც ქალებს საშუალებას მისცემს უფრო აქტიურად ჩაერთონ ამ სექტორში.
- **ნებართვაზე დაფუძნებული შემოსავალი:** მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გასცენ ნებართვები კვლევით, საგანმანათლებლო აქტივობებისთვის ან კულტურული ღონისძიებებისთვის, რაც უზრუნველყოფს როგორც ფინანსურ ანაზღაურებას, ასევე ტყის შენარჩუნებას. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და ქალთა ხელმძღვანელობით მოქმედმა პროექტებმა თანაბარი წვდომა მიიღონ ლიცენზიებზე, ხოლო ნებართვების გაცემის პროცესი არ იქცეს ბარიერად ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფებისთვის, როგორიცაა ქალები და ახალგაზრდები.

არაატერიალური სარგებელი:

- **ენერგოეფექტურობა და გარემოს დაცვა**: ტყეებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ ენერგიის ხარჯების შემცირებაში, რადგან ისინი ქარის დამცავი ზოლების ფუნქციას ასრულებენ, რაც ამცირებს გათბობის საჭიროებას მიმდებარე დასახლებებში. გარდა ამისა, ტყის რესურსების, მათ შორის შეშის გამოყენება, ეხმარება ოჯახებს ხარჯების შემცირებაში. ენერგოეფექტურობის ღონისძიებები, როგორიცაა ალტერნატიული გათბობის მეთოდების დანერგვა და შეშის მდგრადი გამოყენების პრაქტიკა, უნდა განხორციელდეს ქალების აქტიური ჩართულობით, რადგან სწორედ ისინი არიან სოფლის რეგიონებში საოჯახო ენერგომოხმარების მთავარი მენეჯერები.
- **ეკოსისტემური სერვისები და ნახშირბადის კრედიტები:** ტყეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წყლის რეგულაციაში, ნიადაგის დაცვასა და ნახშირბადის შთანთქმაში, რაც გრძელვადიან მდგრადობას უზრუნველყოფს. ეს სარგებელი ასევე შეიძლება გადაიზარდოს პირდაპირ ფინანსურ შემოსავალში ნახშირბადის კრედიტების პროგრამების საშუალებით. გენდერულად მგრძნობიარე კლიმატის დაფინანსების მექანიზმებმა უნდა უზრუნველყოს, რომ ნახშირბადის ბაზრებიდან მიღებული ეკონომიკური სარგებელი ხელმისაწვდომი იყოს თემებზე დაფუძნებული კონსერვაციის პროექტებისა და ქალთა ხელმძღვანელობით ინიციატივებისთვის.
- **ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება:** მწვანე სივრცეები ხელს უწყობს ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებასა და რეკრეაციული შესაძლებლობების შექმნას, რაც დადებითად აისახება საზოგადოების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.[1] როგორც საზოგადოების ძირითადი მზრუნველები და ლიდერები, ქალებს უნდა ჰქონდეთ აქტიური როლი მწვანე სივრცეების დაგეგმვასა და მოვლაში, რათა ისინი სხვადასხვა საჭიროებებს მოერგოს, მათ შორის ყველა ასაკისა და შესაძლებლობის მქონე ადამიანისთვის იყოს ხელმისაწვდომი და ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოს.

ფინანსური შეზღუდვები

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალური ტყის მართვა გთავაზობთ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს, ის ასევე მოიცავს გამოწვევებს, მათ შორის:

- **მაღალი საწყისი ინვესტიციები:** მუნიციპალური ტყის მართვის ერთეულების შექმნა საჭიროებს ფინანსურ რესურსებს პერსონალის დაქირავებისთვის, აღჭურვილობის შეძენისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. ქალთა მონაწილეობა სატყეო სექტორში მოქმედ ბიზნესებსა და კოოპერატივებში უნდა იქნას მიზანმიმართულად მხარდაჭერილი, მათ შორის სამიზნე დაფინანსების მექანიზმების, მიკროსაფინანსო შესაძლებლობებისა და უნარების განვითარების პროგრამების საშუალებით.
- **საოპერაციო ხარჯები:** ტყეების შენარჩუნების რეგულარულმა ხარჯებმა, ხელფასების, აღჭურვილობის შესყიდვისა და ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მუნიციპალურ ბიუჯეტებზე. მნიშვნელოვანია, რომ ფინანსური განაწილება ითვალისწინებს გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირებას, რასაც შეუძლია

[1] შემოსავლების გენერირებისა და ეკონომიკური სარგებლის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ PMO-ს მიერ მომზადებული ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის (CBA) ანგარიში.

მუნიციპალიტეტებს დაეხმაროს რესურსებზე წვდომისა და სამუშაო ძალაში ჩართულობის უთანასწორობების აღმოფხვრაში.

- **გადაუდებელი და კატასტროფების ხარჯები:** მოულოდნელი მოვლენები, როგორიცაა ტყის ხანძარი ან მავნებლების აფეთქება, მოითხოვს დამატებით რესურსებს აღდგენისა და პრევენციისთვის. ქალების მოწყვლადობის საკითხები კატასტროფულ სიტუაციებში უნდა გადაიჭრას მიზანმიმართული საგანგებო რეაგირების დაგეგმვის, საზოგადოების მზადყოფნის ტრენინგების და ინკლუზიური კატასტროფის შემდგომი აღდგენის ინიციატივების მეშვეობით.
- **განვითარების ხარჯები:** რეკრეაციული მიზნებისთვის ინფრასტრუქტურის აშენება ან მომსახურების გაფართოება მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ დაგეგმვასა და ინვესტიციებს. მნიშვნელოვანია, ტყესთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დაგეგმვაში გაერთიანდეს გენდერულად მგრძნობიარე მიდგომა, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ განვითარების ბაზრები ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და სასარგებლო იყოს ქალებისა და ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფებისთვის.

### 2.1.3. Political and Regulatory Aspects

მარეგულირებელი გარემო გადამწყვეტ როლს თამაშობს მუნიციპალური ტყის მართვის ეფექტურობის ჩამოყალიბებაში. საქართველოში ძირითადი პოლიტიკა მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

- საქართველოს ტყის კოდექსი: განსაზღვრავს მუნიციპალურ ტყეებს და ასახავს მუნიციპალიტეტების როლებსა და კომპეტენციებს ტყის მართვაში.
- მთავრობის განკარგულებები: მოიცავს რეგულაციებს ტყის მდგრადი მართვის, ტყით სარგებლობის, დაცვისა და მონიტორინგის პროცედურებს:

1. საქართველოს მთავრობის No231 დადგენილება: დებულება საქართველოს ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესახებ.
2. საქართველოს მთავრობის No221 დადგენილება: დებულება ტყითსარგებლობის წესების შესახებ.
3. საქართველოს მთავრობის No383 დადგენილება: დებულება ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ.
4. საქართველოს მთავრობის No427 დადგენილება: დებულება საქართველოს ტყის სისტემის, კატეგორიზაციისა და მონიტორინგის წესის შესახებ.
5. საქართველოს მთავრობის No496 დადგენილება: დებულება ტყის საზღვრების მინიჭების, შეწყვეტისა და განსაზღვრისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ.
6. მიზნობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებები;
7. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის, ეროვნული სატყეო სააგენტოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, გარემოს ეროვნული სააგენტოს ანგარიშები და სტატისტიკური მონაცემები.
8. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014 წ
9. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება No2–67

ტყეების სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის შესახებ 2023 წ.
10. საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია 2013 წ

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დებულებებისა, ერთ-ერთი სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც ამჟამად შემუშავების პროცესშია, არის დადგენილება „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის" განსაზღვრის კრიტერიუმებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

დადგენილების პროექტი განსაზღვრავს სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც არეგულირებს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემის პროცესს. თუმცა, ეს ხდება მკაცრად სტრუქტურირებულ და ცენტრალიზებულ სამართლებრივ გარემოში. იგი აყალიბებს დასაშვებობის კრიტერიუმებს, პროცედურულ მოთხოვნებს და მუნიციპალური ტყის განსაზღვრის სამართლებრივ პირობებს. თუმცა, იგი სრულად არ ავითარებს მუნიციპალური ტყის მართვის დეტალურ მოდელს, რაც ტოვებს მნიშვნელოვან გაურკვევლობას ადგილობრივ ავტონომიასთან, ფინანსურ მდგრადობასთან და ოპერატიულ მმართველობასთან დაკავშირებით. დადგენილების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია დანართში.

#### 2.1.4. სოციალურ-კულტურული ასპექტები

ტყეებს მნიშვნელოვანი კულტურული და ისტორიული ღირებულება აქვს ადგილობრივი თემებისთვის. ისეთ რეგიონებში, როგორიც არის თუშეთი და სვანეთი, „წმინდა" ტყეები დაცულია, როგორც ნაკრძალი, რაც გამოხატავს თემების ძლიერ კავშირს ამ ლანდშაფტებთან და ასახავს ტრადიციულ მდგრად პრაქტიკას. ეს ტყეები ხშირად ხელუხლებელია და გამოირჩევა როგორც ბიომრავალფეროვნებით, ისე ღირებულებით. „წმინდა" ტყის ფენომენის არსებობა საფუძვლად დაედო ადგილობრივ საზოგადოებასთან მუშაობის წარმატების მიღწევას. თუმცა, სოციალურ-კულტურული გამოწვევები მოიცავს:

- **მოწყვლადი ჯგუფების შეზღუდული ჩართულობა:** კულტურულმა ნორმებმა შეიძლება გამორიცხოს გარკვეული ჯგუფები, როგორიცაა ქალები, ტყის მართვისას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- **თემის კონფლიქტები:** მართვის პრაქტიკების დანერგვამ შესაძლოა მიწის გამოყენებასთან დაკავშირებული კონფლიქტები გამოიწვიოს, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ტყეები პირად ან საზოგადოებრივ საკუთრებად აღიქმება. პოტენციური გამოწვევები მოიცავს:

  - კულტურული წინააღმდეგობას მენეჯმენტის ახალი პრაქტიკის მიმართ
  - კორუფციის ან დაუმორჩილებლობის რისკი, რაც შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ დაბალმა ნდობამ.

მუნიციპალიტეტებმა უნდა შეაფასონ თემის ჩართულობის ხარისხი ტყის მართვაში. ძლიერი მხარე შეიძლება იყოს საზოგადოების ძლიერი ჩართულობა და ტრადიციული ცოდნა, ხოლო სუსტი მხარეები შეიძლება მოიცავდეს საზოგადოების შეზღუდული შესაძლებლობების ან ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების გამორიცხვას. შესაძლებლობები მოიცავს საზოგადოების როლების გაფართოებას და ადგილობრივი ცოდნის ინტეგრირებას მართვის გეგმებში, ხოლო საფრთხეები

შეიძლება შეიცავდეს კულტურულ ბარიერებს ან კონფლიქტებს რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით. (Acosta, 2002)

საზოგადოებაზე ორიენტირებული ადაპტაციის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითი მოიცავს სურსათისა და წყლის უსაფრთხოების, ასევე ჯანმრთელობის უზრუნველყოფას თემზე დაფუძნებული აქტივობების მეშვეობით. სოფლის რეგიონებში ტყეებსა და ხეებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ სურსათის, წყლისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში. მიწის მესაკუთრეებს შეუძლიათ ურთიერთთანამშრომლობისგან სარგებლის მიღება, თუ ისინი დააიდენტიფიცირებენ პრიორიტეტულ ზონებს წყლის რესურსების დაცვისთვის და დანერგავენ გაერთიანებულ საგანგებო მარაგს თესლისა და სურსათის უზრუნველყოფისთვის, ეკოსისტემური სერვისების დაცვისა და გაუმჯობესების სტრატეგიებს (მაგალითად, დამტვერვის, წყლის ხარისხის გაუმჯობესებისა და ნიადაგის დაცვის მექანიზმები), მოსალოდნელი დაავადებების გამავრცელებელი სახეობების გამრავლების რისკების შემცირების ზომებს (Louman, 2010).

კულტურული ბარიერები მნიშვნელოვნად ზღუდავს ქალთა მონაწილეობას სხვადასხვა სექტორში, მათ შორის ტყის მართვაში. ეს ბარიერები ხშირად გამომდინარეობს ღრმად ფესვგადგმული სოციალური ნორმებიდან და შეხედულებებიდან, რომლებიც კარნახობენ რა არის „შესაბამისი“ ქცევა მამაკაცებისა და ქალებისთვის. ტრადიციული ნორმები ხშირად განიხილავენ ქალებს, როგორც მამრობით სქეს დაქვემდებარებულებს, რაც ზღუდავს მათ ხელმისაწვდომობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებსა და ხელმძღვანელ პოზიციებზე. ამ იერარქიულ სტრუქტურას შეუძლია ხელი შეუშალოს ქალებს ხმის გაჟღერებას ტყის მმართველობაში ან საზოგადოების ინიციატივებში. სატყეო მეურნეობა და ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტი ხშირად განიხილება, როგორც მამრობითი სქესის დომინირების სფერო, კულტურული ნორმები ხელს უშლის ქალებს ამ პროფესიებში შესვლაში ან მასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.[2]

### 2.1.5. გარემოსდაცვითი ასპექტები

საქართველოს სატყეო სექტორი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის გარემოსდაცვით მდგრადობაში, ეკონომიკურ სტაბილურობასა და სოციალურ ერთიანობაში. ტყეები ფარავს ეროვნული ტერიტორიის თითქმის 44%-ს[3] და შეუფასებელია მათი ბიომრავალფეროვნებით, ნახშირბადის შთანთქმის უნარით, ეკოსისტემური სერვისებით, როგორიცაა წყლის რეგულირება, ნიადაგის დაცვა და კლიმატის ცვლილების შერბილება. გარდა ამისა, ტყეები კრიტიკულ როლს ასრულებენ სოფლის მოსახლეობის ცხოვრების მხარდაჭერაში, უზრუნველყოფენ სათბობ და სამშენებლო რესურსებს, შემოსავლის წყაროს მერქნული და არამერქნული პროდუქტების (კენკრა, სოკო, სამკურნალო მცენარეები) მდგრადი მოპოვების გზით.

**ნიადაგის დეგრადაციის პრევენცია და ხელუხლებელი ტყეების დაცვა მუნიციპალური ტყის მართვის (MFM) ფუნდამენტური მიზნებია. ტყეების შენარჩუნების ძირითადი სტრატეგიები**

---

[2] PMO-ს მიერ მომზადებული SWOT ანალიზის დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიების დეტალებს, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ქალთა ჩართვა ტყის მართვაში.

[3] წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022, „საქართველოს ეროვნული სატყეო ინვენტარიზაცია“

მოიცავს მკაცრი დაცვის ზომებს, მდგრადი რესურსგამოყენებასა და თემზე დაფუძნებული კონსერვაციას. გარემოზე პოზიტიური ზეგავლენა მოიცავს ხის წვის შემცირებას, რადგან გაზიფიკაციის პროცესმა შეამცირა შეშაზე დამოკიდებულება, რაც ამცირებს ტყეების ჭრასა და მავნე ემისიებს. გარდა ამისა, დეცენტრალიზებული სატყეო მართვა აძლიერებს ადგილობრივ მმართველობას სხვა სექტორებშიც, მაგალითად წყლის რესურსების მართვაში, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისა და თემის განვითარების ურთიერთკავშირს.

### 2.1.6. რესურსები

მუნიციპალური ტყის ეფექტური მართვა მოითხოვს მნიშვნელოვან ფიზიკურ-მატერიალურ რესურსებს, მათ შორის სპეციალიზებულ პერსონალს, ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობას, ტექნოლოგიას, ასევე სხვა ტექნიკურ და ფინანსურ რესურსებს.

ადამიანური რესურსები

მენეჯმენტის გეგმების განსახორციელებლად აუცილებელია კვალიფიციური პერსონალი. საქართველოს ტყის კოდექსით სავალდებულოა კვალიფიციური მეტყევეების ჩართვა მდგრადი პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, რადგან მენეჯმენტის გეგმების ეფექტური განხორციელება მოითხოვს სპეციალიზებულ პერსონალს, რომელიც აღჭურვილია როგორც ძირითადი ხელსაწყოებით, ასევე მოწინავე მექანიკური აღჭურვილობით. საქართველოს ტყის კოდექსი მოიცავს კონკრეტულ საკანონმდებლო ვალდებულებებს ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით. კოდექსის მიხედვით, ტყის მართვის ორგანომ უნდა უზრუნველყოს კვალიფიციური მეტყევეების და მეტყევე სპეციალისტების სავალდებულო ჩართვა ტყის მართვაში. ამასთან, საქართველოში ტყის მდგრადი მართვის პრინციპების განსახორციელებლად, 2025 წლის 1 იანვრამდე ტყის მართვის ორგანომ ყოველწლიურად უნდა გაზარდოს ტყის კოდექსის 83-ე მუხლით განსაზღვრული პირების რაოდენობა. ამ ზრდამ უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეულ ტყის ფართობზე არაუმეტეს 3,500 ჰა-ს მართავდეს მინიმუმ ერთი კვალიფიციური პირი. ასევე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ტერიტორიის სპეციფიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე (როგორიცაა მისი ზომა, ხელმისაწვდომობა, ახლომდებარე თემების მოსახლეობის სიმჭიდროვე და ა.შ.), შესაძლოა საჭირო გახდეს ერთზე მეტი ინდივიდი 3,500 ჰა ფართობის ეფექტურად მართვისთვის.

გარდა ამისა, სპეციალიზებული პერსონალი, რომელიც აღჭურვილია როგორც საბაზისო ხელის იარაღებით, ისე თანამედროვე მექანიზებული ტექნიკით, აუცილებელია ტყის მართვის გეგმების ეფექტიანი განხორციელებისთვის. ინვესტიცია გადამზადებასა და უწყვეტ განათლებაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რათა პერსონალსა და ადგილობრივ თემებს ჰქონდეთ ცოდნა ტყის მდგრადი მართვისთვის.

მუნიციპალური ტყის მართვის ძირითადი პერსონალის[4] სავარაუდო ჩამონათვალი:

[4] ქართველიშვილი, 2023

| *საკადრო პოზიციები* | პერსონალის რაოდენობა |
|---|---|
| *დირექტორი* | 1 |
| *უფროსი მეტყევე* | 1 |
| *მეტყევე* | 1[5] |
| *ელექტრონული ხე-ტყის რესურსების მართვის სისტემის განვითარების სპეციალისტი* | 1 |
| *ტყის მოვლისა და აღდგენის სპეციალისტი* | 1 |
| *ენტომოლოგი/ფიტოპათოლოგი* | 1 |
| *ეკონომისტი* | 1 |
| *ბუღალტერი* | 1 |
| *ადმინისტრატორი* | 1 |

ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა

სპეციალიზებული აღჭურვილობა (მაგ., ტრაქტორები, ბენზოხერხები) აუცილებელია როგორც მერქნის მოპოვებისთვის, ასევე ტყის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სამუშაოებისთვის. ინფრასტრუქტურა, როგორიცაა ტყის გზები და შესაბამისი შენობები (მაგალითად, საწყობები და ადმინისტრაციული ობიექტები), ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ტყის მართვის ეფექტიანობისთვის. სამიზნე მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურა პრაქტიკულად არ არსებობს. (ქართველიშვილი, 2023) ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მხოლოდ მცირე ზომის აღჭურვილობაა ხელმისაწვდომი, როგორიცაა ბენზოხერხები, ბუჩქების საკრეჭები და ტოტების საჭრელები.

ტექნოლოგიური რესურსები

GPS სისტემები, რუკების პროგრამული უზრუნველყოფა და მონიტორინგის ხელსაწყოები ამლიერებს დაგეგმვის, შესრულების და შეფასების პროცესებს, რაც უზრუნველყოფს სიზუსტეს და ანგარიშვალდებულებას. ამ ეტაპზე ეს სისტემები მუნიციპალიტეტებისთვის ხელმიუწვდომელია.

ფინანსური რესურსები

აღსანიშნავია, რომ ფინანსური რესურსები საჭიროა არა მხოლოდ აღჭურვილობისა და პერსონალისთვის, არამედ პერსონალის უწყვეტი განათლებისა და გადამზადებისთვის, ასევე საზოგადოების ჩართულობისა და გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვისთვის. მიმდინარე

[5] ტერიტორიის დაცვისთვის საჭირო მეტყევეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს თითოეული შემთხვევის მიხედვით.

გამოცდილება აჩვენებს, რომ ფინანსური და ტექნიკური დახმარების ძირითადი ნაწილი დონორებისა და საერთაშორისო ფონდებისგან მოდის.

### 2.1.7. დაინტერესებული მხარეები

მუნიციპალური ტყის მართვის დაინტერესებული მხარეები არიან მუნიციპალური ხელისუფლება, ადგილობრივი თემები (მათ შორის სხვადასხვა დემოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები), გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, სატყეო ექსპერტები და შესაბამისი სახელმწიფო უწყებები, როგორიცაა ეროვნული სატყეო სააგენტო და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ძირითადი დაინტერესებული მხარეები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| ჯგუფი | დაინტერესებული მხარეები | განმარტება / MFM-თან მიმართებაში |
|---|---|---|
| სახელმწიფო ინსტიტუტები | ეროვნული სატყეო სააგენტო | როგორც ტყის მართვაზე პასუხისმგებელი ძირითადი სახელმწიფო ორგანო, სააგენტოს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და ინტერესი, რაც მოითხოვს აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში. |
| | მუნიციპალური მთავრობა | უშუალოდ პასუხისმგებელია ტყის მართვის განხორციელებაზე მუნიციპალურ დონეზე. |
| | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | სამინისტროს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა გარემოსდაცვით პოლიტიკაზე და ეროვნულ დონეზე მაღალი ინტერესი ტყის რესურსის მდგომარეობის გარეშე, რაც მოითხოვს მონაწილეობას ეროვნულ სტრატეგიებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. |
| | გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სახელმწიფო საქვეუწყებო დეპარტამენტი (DES) | გადამწყვეტ როლს ასრულებს ტყის ზედამხედველობა/დაცვაში, უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი რეგულაციების შესრულებას და მუნიციპალურ ტყეებში უკანონო ქმედებების კონტროლს, რაც მას მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტყის მართვის პრაქტიკის წარმატებაზე. DES-ს აქვს მაღალი ინტერესი მუნიციპალური ტყის მართვის მიმართ, რადგან ის პასუხისმგებელია სამართლებრივი სტანდარტების მონიტორინგსა და აღსრულებაზე, ხე-ტყის უკანონო ჭრის პრევენციასა და გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფაზე. საჭიროა აქტიური ჩართულობა მარეგულირებელ შესაბამისობის შესანარჩუნებლად, მდგრადი პრაქტიკის მხარდასაჭერად და გარემოს დაცვის სტანდარტების დაცვაზე ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად. |

| | | |
|---|---|---|
| | დაცული ტერიტორიების სააგენტო | სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ მათი უფრო ფართო კონსერვაციის მცდელობები არ ეწინააღმდეგებოდეს მუნიციპალურ მიზნებს. |
| კერძო სექტორი | კერძო სატყეო საწარმოები | ამ დაინტერესებულ მხარეებს აქვთ საშუალო გავლენა პოლიტიკის განხორციელებაზე და მაღალი ინტერესი მათი მუშაობის მიმართ. |
| | ტურიზმი და რეკრეაციული ბიზნესი | ეს დაინტერესებული მხარეები სარგებლობენ კარგად მართული ტყეებით, მაგრამ აქვთ ზომიერი გავლენა და ინტერესი. ახალი რეგულაციები მოითხოვს მათ მონიტორინგს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ამ ბიზნესების საქმიანობა MFM-ის მიზნებთან შესაბამისობაში. |
| სამოქალაქო საზოგადოება | ადგილობრივი საზოგადოება | ადგილობრივ თემებს დიდი ინტერესი აქვთ ტყის მართვის შედეგების მიმართ, განსაკუთრებით საარსებო წყაროსა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რაც მოითხოვს მათთან რეგულარულ განახლებას და კონსულტაციებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საჭიროებები და ინტერესები გენდერულად დიფერენცირებულია. |
| | გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები | ეს ორგანიზაციები უაღრესად დაინტერესებულნი არიან მდგრადი პრაქტიკის ხელშეწყობით და უნდა იყვნენ ინფორმირებულები, რათა გამოიყენონ თავიანთი ადვოკატირებისა და საზოგადოების ჩართულობის ძალისხმევა. |
| | აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტები | ღირებული შეხედულებებისა და ინოვაციების შემოტანით, ეს ინსტიტუტები უნდა იყვნენ ინფორმირებული, რათა უზრუნველყონ, რომ ტყის მართვის სტრატეგიები ეფუძნება უახლეს კვლევებს. |
| | საზოგადოება | საზოგადოებას დიდი ინტერესი აქვს ტყის მენეჯმენტის მიმართ, განსაკუთრებით გარემოს ხარისხისა და რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რაც გამჭვირვალობას და მათთან რეგულარულ კომუნიკაციას მოითხოვს. |
| | საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და ფინანსური ინსტიტუტები | ეს ორგანიზაციები უზრუნველყოფენ კრიტიკულ დაფინანსებას და მხარდაჭერას, ამიტომ მათი გავლენა მაღალია. ინტერესის დონე საშუალოა და დამოკიდებულია ქვეყნის ეროვნულ მიზნებზე. ახალი რეგულაცია ზოგადად მოითხოვს ამ მხარის ჩართულობას რესურსების მიწოდებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანაში. |

## 2.2. მუნიციპალური ტყის მართვის არსებული სტრუქტურების მიმოხილვა

აღნიშნული თავი ასახავს ტყის მართვის საუკეთესო პრაქტიკის შედარებით ანალიზს ბულგარეთისა და სლოვაკეთის მაგალითზე და აფასებს, თუ როგორ შეიძლება მათი გამოყენება ან ადაპტირება საქართველოს კონტექსტში.

### 2.2.1. ბულგარეთის მიდგომა მუნიციპალური ტყის მართვისადმი

ბულგარეთის რესპუბლიკაში მუნიციპალიტეტები მართავენ მათთვის სხვადასხვა გზით გადაცემულ ტყეებს, იგულისხმება როგორც რესტიტუცია, ასევე იურიდიული ოპერაციების (მაგ. შესყიდვა, შემოწირულობა, ანდერძი, გაყოფა ან ქონების გაცვლა), ტყის გაშენება ან შეძენის სხვა ფორმები. ეს ტყეები არა სახელმწიფო ან კერძო საკუთრება, რადგან ისინი მუნიციპალურ საკუთრებაშია.

ბულგარეთის მუნიციპალური ტყეების მართვის მოდელი ხასიათდება სტრუქტურირებული საკანონმდებლო ჩარჩოებით, მენეჯმენტის მრავალფეროვანი ვარიანტებით და მკაფიოდ განსაზღვრული როლებით მუნიციპალური და სახელმწიფო ორგანოებისთვის.

**საზოგადოებრივი მუნიციპალური ტყის საკუთრება**

ადგილობრივ საკუთრებაში არსებული ზოგიერთი ტყე კლასიფიცირებულია როგორც საჯარო მუნიციპალური საკუთრება. აღნიშნულში იგულისხმება:

- ტყეები, რომლებიც იმართება ეროვნული უსაფრთხოების, თავდაცვის, ჯანდაცვის, განათლების ან ჰუმანიტარული მიზნებისთვის.
- ტყეები სანიტარული დაცვის ზონებში წყლის წყაროების, სასმელი წყლის ობიექტების და მინერალური წყლის წყაროების გარშემო, როგორც ეს განსაზღვრულია წყლების აქტით.
- დაცული ტერიტორიების კანონის მიხედვით დაცული ტერიტორიების ფარგლებში მდებარე ტყეები.
- ტყეები, რომლებიც შედის უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის გამოყოფილ ზონებში, კულტურული მემკვიდრეობის აქტის შესაბამისად.

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგულაციები**

მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს განკარგულებებს და სტრატეგიებს მუნიციპალური ტყეების მართვის მიზნით. ეს მოიცავს

- განკარგულება მუნიციპალური ქონების შეძენის, მართვისა და განკარგვის შესახებ: განსაზღვრავს მუნიციპალური ქონების მართვის პროცედურებს.
- განკარგულება მუნიციპალური ტყის ტერიტორიების მართვის შესახებ: ასახავს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ტყეების მართვის პირობებს და მეთოდებს.
- მუნიციპალური ქონების მართვის სტრატეგია: მოიცავს მართვის გეგმებს საკრებულოს მანდატის ხანგრძლივობისთვის.
- მენეჯმენტისა და განკარგვის წლიური პროგრამა: უზრუნველყოფს ყოველწლიურ მითითებებს ქონების მართვისა და უტილიზაციისთვის.

## მუნიციპალური ტყის ტერიტორიების მართვა

მუნიციპალურ ტყეებს მართავენ უფლებამოსილი პირები მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელობით. აღნიშნულში იგულისხმება:

1. მუნიციპალური სატყეო ორგანოები, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ შემდეგი ფორმები:
    - მუნიციპალური ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული.
    - კომერციული კომპანია, რომელიც მთლიანად მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია.
    - მუნიციპალური საწარმო- მუნიციპალური ქონების შესახებ კანონით.
2. სახელმწიფო სატყეო ან სანადირო საწარმოები, რომლებიც იმართება ხელშეკრულების საფუძველზე.
3. რეგისტრირებული პროფესიონალები ან სავაჭრო სუბიექტები, რომლებიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრებში სატყეო მეურნეობის აქტის შესაბამისად მოქმედი კონტრაქტით.

თუ მუნიციპალიტეტი ფლობს 1500 ჰექტარზე მეტ ტყეს, მართვა ხელშეკრულებით უნდა დაევალოს მუნიციპალურ სატყეო ორგანოს ან სახელმწიფო სატყეო/სამონადირეო საწარმოს. მუნიციპალური სატყეო ორგანოს ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფო სატყეო საწარმოს დირექტორისთვის საჭირო კვალიფიკაციას და შეტანილი იყოს მეტყევეობის საჯარო რეესტრში.

## დასაშვები საქმიანობა მუნიციპალურ ტყეებში

მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ განახორციელონ შემდეგი აქტივობები ტყის ზონებში:

- მერქნული და არამერქნული ტყის პროდუქტების მოპოვება და ტრანსპორტირება.
- ტერიტორიების გაწმენდა და ტყის გასაშენებლად ნიადაგის მომზადება.
- ბუნებრივი აღდგენის, ტყის გაშენების და ტყის კულტურების გაშენების ხელშეწყობა.
- მოსაჭრელი პლანტაციებისა და ხეების მონიშვნა.
- განკარგულებით ან კანონით განსაზღვრული სხვა საქმიანობა.

## გადაცემა

სატყეო ტერიტორიებზე საქმიანობის გადაცემა ხდება ღია და ელექტრონული ტენდერების ან მოლაპარაკებების გზით, რაც დამოკიდებულია საკანონმდებლო რეგულაციებზე. მაგალითები მოიცავს:

- ხის ან მოჭრილი ხის რეალიზაცია: ტარდება ღია ვაჭრობის, ელექტრონული ტენდერის ან კონკურსის გზით.
- გაყიდვის მეთოდი განისაზღვრება ტყის მართვის სტრუქტურით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს:
    - მუნიციპალიტეტის მერს ან უფლებამოსილ თანამდებობის პირს.

- მუნიციპალური ქონების შესახებ კანონის მიხედვით მუნიციპალური სატყეო საწარმოს ხელმძღვანელს.
- სრულად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ კომერციული კომპანიის ხელმძღვანელს.[6]

### 2.2.2. სლოვაკეთის მიდგომა მუნიციპალურ ტყის მართისადმი

სლოვაკეთის 2 009 000 ჰა ტყეს აქვს ძალიან რთული საკუთრების სტრუქტურა, რაც გამოწვეულია ისტორიული და პოლიტიკური ფაქტორებით. ამჟამად, მთელი ტყის მიწის 47.6 პროცენტი სახელმწიფო საკუთრებაა, რომელსაც მართავს სახელმწიფო საწარმოები. არასახელმწიფო სექტორი მოიცავს არა მხოლოდ კერძო, მუნიციპალურ, საეკლესიო და კოოპერატიულ ტყეებს, არამედ ტყის ერთობლივი საკუთრების სპეციფიკურ ისტორიულ ფორმას - ურბარიატს.

1990 წლის პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ არ არსებობდა რეგულაციები არასახელმწიფო სატყეო სექტორისთვის. ტყის ახალი მფლობელები, რომლებსაც არ აქვთ კერძო საკუთრების ადმინისტრირებისა და მართვის გამოცდილება, გაერთიანდნენ და ჩამოაყალიბეს ასოციაციები, რომლებსაც შეეძლოთ მათი ინტერესების დაცვა შესაფერისი ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული და საკანონმდებლო პირობების ფორმირებაში.

მუნიციპალიტეტებს ასევე შეექმნათ გამოწვევები დაბრუნებული ტყეების მართვისთვის საკუთარი ინსტიტუტების შემუშავებისას, თუმცა მათი პრობლემები განსხვავდებოდა მცირე კერძო მესაკუთრეების პრობლემებისგან. მუნიციპალური ტყეები შეტანილია პირველ ტყეების მესაკუთრეთა ასოციაციაში (FOA), რომელიც დაარსდა 1991 წელს; 1994 წელს გადაწყდა მათთვის დამოუკიდებელი FOA - მუნიციპალური ტყეების ასოციაციის (ZOL) შექმნა.

მუნიციპალიტეტები თავიანთ ტყეებს მართავენ სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურების მეშვეობით, როგორიცაა მუნიციპალური სატყეო ორგანოები, რომლებიც შეიძლება მუშაობდნენ როგორც სტრუქტურული ერთეულები მუნიციპალურ ადმინისტრაციაში, ისევე როგორც მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული კომერციული კომპანიები ან მუნიციპალური საკუთრების აქტით განსაზღვრული მუნიციპალური საწარმოების ფორმით. მართვის ფორმის არჩევანს ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტებისთვის, სადაც ტყიანი ფართობი აღემატება 1500 ჰექტარს, მართვას, როგორც წესი, ახორციელებს მუნიციპალური სატყეო ორგანო ან სახელმწიფო სატყეო საწარმოებთან ხელშეკრულებებით. ეს არის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სუბსიდირებული ან შეზღუდული კომპანიები. ამ კომპანიებიდან ბევრი ასევე ინარჩუნებს პარკებსა და სხვა მწვანე ზონებს თავიანთ მუნიციპალიტეტებში.

ტყის მართვის გეგმები სავალდებულოა სლოვაკეთის ყველა ტყის მფლობელისთვის. ეს გეგმები შემუშავებულია ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა Lesoprojekt Zvolen (ტყის მართვის დაგეგმვის ინსტიტუტი) და ექვემდებარება დამტკიცებას რეგიონალური სატყეო ოფისების მიერ.

[6] https://www.tfma.eu/files/files/Bulgaria_Management%20of%20municipal%20forest%20estates_BNAO_EN.pdf?utm

გეგმები უზრუნველყოფს ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკას, შესაბამისობას საკანონმდებლო რეგულაციებთან და ეროვნულ სატყეო პოლიტიკასთან შესაბამისობაში. [7]

მუნიციპალიტეტები პასუხისმგებელნი არიან სატყეო მეურნეობის მთელ რიგ აქტივობებზე, მათ შორის ხე-ტყის მოპოვებაზე, ტყის გაშენებასა და ტყის ინფრასტრუქტურის მოვლაზე. ეს აქტივობები ხშირად იდება ღია ტენდერებსა და ელექტრონულ აუქციონებზე, გამჭვირვალობისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად. მუნიციპალური ტყეებიდან მიღებული შემოსავალი ხელს უწყობს ადგილობრივ ბიუჯეტებს, თემის განვითარებას და საჯარო სერვისებს.

[77] https://unece.org/fileadmin/DAM/timber/docs/tc-58/efc-reports/slovakia.pdf?utm_source=chatgpt.com

# 3. ინსტიტუციური მოწყობის პროცესის დიზაინი

## 3.1. მუნიციპალური ტყის მართვის ინსტიტუციური მოწყობის შემუშავების ჩარჩო

*აღნიშნულ თავში განიხილულია მუნიციპალური ტყის მართვის ინსტიტუციური მოწყობის შემუშავების ძირითადი ელემენტები, გამოწვევები და შეფასების კრიტერიუმები.*

ორგანიზაციული დიზაინის მოდელი ასახავს ორგანიზაციის ძირითად ელემენტებს და იკვლევს მათ შორის ურთიერთკავშირს. ეს მოდელი ითვალისწინებს როგორც შიდა, ასევე გარე განზომილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციის მუშაობასა და ეფექტურობაზე.

გარე ფაქტორები გულისმობს ისეთ ასპექტებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციის შიდა პროცესებზე, ასევე აქტორებს/დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც ჩართულნი არიან მისი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტში.

გარე ფაქტორებიდან გამომდინარე, ორგანიზაცია აყალიბებს სტრატეგიას, რომელიც, თავის მხრივ, აყალიბებს მის შემდგომ ძირითად ელემენტებს: სისტემები, ხალხი, კულტურა, რესურსები და სტრუქტურა. ეს ელემენტები შემდგომში იყოფა მცირე კომპონენტებად, რომელთაგან თითოეული ხელს უწყობს ორგანიზაციის ფუნქციონირებას.

თითოეული ეს ძირითადი ელემენტი დეტალურად არის აღწერილი შემდეგ ნაწილში.

*დიაგრამა 1 - ზოგადი მოდელი*



### 3.1.1. გარე განზომილება

ჩვენ გამოვავლინეთ ექვსი ძირითადი ფაქტორი, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მუნიციპალური ტყის მართვის ორგანიზაციულ წყობაზე. ეს ფაქტორებია: მარეგულირებელი, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული და ტექნოლოგიური. სანამ შიდა ფაქტორებს ჩავუღრმავდებით, უნდა ჩატარდეს გარე ფაქტორების ანალიზი.

*გარე ფაქტორები*

1. **მარეგულირებელი ფაქტორები**

მნიშვნელოვანია მარეგულირებელი ბაზის გაანალიზება მოქმედი საკანონმდებლო ბაზის განახლების, ახალი რეგულაციების შემოღების ან მომავალი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის თვალსაზრისით. ყველა ეს ფაქტორი შეიძლება მოითხოვდეს ცვლილებებს ორგანიზაციის ოპერაციებში, სტატუსში, ბიზნეს პროცესებში ან ორგანიზაციის დიზაინის სხვა სფეროებში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შემდეგი მოქმედებები:

გაეცანით არსებულ საკანონმდებლო და მარეგულირებელ ბაზას

მიმართეთ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს მარეგულირებელი ცვლილებების ან განახლებების შესახებ.

ძირითადი კითხვები:

1. რომელი კანონები არეგულირებს მუნიციპალური ტყის მართვის ინსტიტუციურ წყობას?
2. რა არის მუნიციპალური ტყის მართვის შესაბამისობის მოთხოვნები?
3. არსებობს რაიმე კონკრეტული ზონა რომელიც ექვემდებარება შესაბამისობის სხვადასხვა რეჟიმს? (მაგ. დაცული ტერიტორიები, მაღალი რისკის ზონები და ა.შ.)
4. არრსებობს თუ არა რაიმე დამატებითი სტანდარტი, რომელსაც იყენებენ ინდუსტრიის მოთამაშეები ადგილობრივ ან საერთაშორისო დონეზე?
5. არის თუ არა საჭირო სერთიფიკატები, რომ ორგანიზაციამ წარმართოს ტყის მართვის პროცესი?
6. როგორ შეესაბამება ინსტიტუციური მოდელი სატყეო მეურნეობის ეროვნულ პოლიტიკას და დეცენტრალიზაციის რეფორმებს?
7. ახალი მოდელის მხარდასაჭერად საჭიროებს თუ არა არსებული კანონები და რეგულაციები ცვლილებებს?
8. რა საერთაშორისო ხელშეკრულებები ან ვალდებულებები (მაგ., კლიმატის მიზნები, ბიომრავალფეროვნების დაცვა) უნდა იყოს ინტეგრირებული მოდელში?

**მარეგულირებელი და სამართლებრივი ჩარჩოს შეზღუდვები**

- მუნიციპალიტეტებმა უნდა დაიცვან მკაცრი ეროვნული კრიტერიუმები (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და ტყის კოდექსით გათვალისწინებული), რაც შეამცირებს მოქნილობას მმართველობის მოდელებში.
- გადაწყვეტილების მიღება რჩება ცენტრალიზებული, შესაბამისად მუნიციპალიტეტები ასრულებენ ადმინისტრაციული მენეჯერების როლს და არ არიან პოლიტიკის განმსაზღვრელები.

## 2. ეკონომიკური ფაქტორები

ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ეკონომიკურმა ფაქტორებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მუნიციპალური ტყის მართვის პროცესის დიზაინზე. მნიშვნელოვანია შეფასდეს ეკონომიკური ფაქტორები, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ორგანიზაციის დიზაინზე, პროცესებზე ან რესურსებზე.

ძირითადი კითხვები:

1. რა ეკონომიკური მდგომარეობაა ეროვნულ დონეზე?
2. რა ეკონომიკური მდგომარეობაა მუნიციპალურ დონეზე?
3. რა მდგომარეობაა მუნიციპალურ დონეზე ბიუჯეტის თვასაზრისით?
4. შეესაბამება თუ არა ეს მუნიციპალური ტყის მართვასთან დაკავშირებულ მმართველობით ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს?
5. ასრულებს თუ არა ტყესთან დაკავშირებული საქმიანობები როლს ადგილობრივი ეკონომიკური კეთილდღეობის განმტკიცებაში? თუ კი, რა დონეზე?
6. რა არის გენდერულად დიფერენცირებული როლები და სარგებელი?

## 3. გარემოსდაცვითი ფაქტორი

გარემოსდაცვითი ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მუნიციპალური ტყის მართვის ორგანიზაციულ წყობასა და მის საქმიანობაში. ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ არის ადგილობრივი კლიმატის მახასიათებლები, ეკოლოგიური პრობლემები, ტყეების ტიპები, რესურსები, მდგრადობა.

ძირითადი კითხვები:

1. რა არის იმ ტყის ძირითადი და მეორეული ფუნქციები, რომელსაც ვმართავთ?
2. არსებობს თუ არა კონკრეტული ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც ტყის მართვასთან არის დაკავშირებული?
3. იზრდება, სტაბილურია თუ მცირდება ტყის მოცულობა? რა ფაქტორები განაპირობებს ამ ტენდენციას?
4. რა მდგომარეობაშია ტყე მავნებლებისა და დაავადებების მხრივ?
5. რა არის მუნიციპალიტეტის ტყეებში ხანძრის ძირითადი რისკები და როგორ შეფასდა/შეფასდება ისინი?
6. რომელი კონკრეტული რესურსებია ხელმისაწვდომი მუნიციპალურ ტყეებში, რომლებიც დამატებითი სერვისებისა და აქტივობების განვითარებას მოითხოვს?
7. არსებობს თუ არა მდგრადობის პრობლემები ტყის მართვასთან დაკავშირებით?

## 4. პოლიტიკური ფაქტორი

პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინება გადამწყვეტია მმართველობის სტრუქტურებთან, დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებთან და პოლიტიკის ჩარჩოებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ძირითადი კითხვები:

1. რა დონის პოლიტიკური მხარდაჭერა არსებობს მუნიციპალური ტყის მართვისთვის?
2. როგორია მუნიციპალური ტყის მართვის თანმიმდევრული დაფინანსების უზრუნველყოფის პოლიტიკური მიზანშეწონილობა? (იქნება თუ არა გრანტები, ბიუჯეტის ან შემოსავლების განაწილების მექანიზმები?)
3. როგორ შეიძლება დაცული იყოს დაფინანსება პოლიტიკური ცვლილებებისგან ან კონკურენტული პრიორიტეტებისაგან?
4. რომელი პოლიტიკური დაინტერესებული მხარეები უნდა ჩაერთონ პრიორიტეტების დასაბალანსებლად?

## 5. სოციალურ-კულტურული ფაქტორები

საგულდაგულოდ უნდა იყოს შესწავლილი სოციალურ-კულტურული ფაქტორები, მათ შორის მუნიციპალური ტყის მართვის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა და მიზნობრივი ჯგუფების დამოკიდებულება. დემოგრაფიული ასპექტები, როგორიცაა ეთნიკური და უმცირესობების ჯგუფების არსებობა, ისევე როგორც მათი უნიკალური კულტურული პრაქტიკა, გასათვალისწინებელია საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების გასაგებად. ასევე უნდა გაანალიზდეს მიგრაციისა და ურბანიზაციის პოტენციური გავლენა ადგილობრივ პროცესებზე, სენსიტიურობის ანალიზის ჩატარებასთან ერთად იმის შესაფასებლად, თუ როგორ შეიძლება ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები (მიგრაცია, მოსახლეობის სტრუქტურული ცვლილებები, კულტურული დინამიკა) გავლენას ახდენდეს მუნიციპალური ტყის მართვის განხორციელებაზე.

გენდერულად მგრძნობიარე მიდგომა სოციალურ-კულტურული დინამიკის შესწავლისთვის აუცილებელია. ბევრ საზოგადოებაში კულტურული ტრადიციები აფერხებს ქალების მონაწილეობას მართვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რადგან მტკიცდება, რომ სატყეო სექტორი „მამაკაცთა დომინირებულ სფეროს" წარმოადგენს. გენდერული მიკერძოების გამოვლენის სხვადასხვა ფორმები შეიძლება იყოს:

- ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი ტყის მომხმარებელთა ასოციაციებსა და მუნიციპალური სატყეო მმართველობის სტრუქტურებში.
- გენდერული შრომის დანაწილება- მამაკაცები ძირითადად დასაქმებულნი არიან ოფიციალურ სატყეო სამუშაოებში, ხოლო ქალები უმეტესად არაფორმალურ საქმიანობებში, როგორიცაა შეშის, კენკრის, სოკოსა და სამკურნალო მცენარეების შეგროვება.
- სოციალური ნორმები უშლის ხელს ქალებს ტექნიკურ პროფესიებში დასაქმებაში, როგორიცაა რეინჯერობა, სატყეო დაგეგმარება და მერქნის მოპოვება.

- პროფესიული განვითარების ბარიერები – ქალებისთვის სატყეო სფეროში განათლების, გადამზადებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობები შეზღუდულია.

გარდა ამისა, ტრადიციული ცოდნა და კულტურული პრაქტიკები უნდა განიხილოს და ინტეგრირდეს ორგანიზაციის მისიასა და სტრატეგიაში.

ძიირთადი კითხვები:

1. რა არის ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფები რეგიონში, მათ შორის უმცირესობები და მოწყვლადი ჯგუფები?
2. რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ ჯგუფების ჩართვამ ან გამორიცხვამ ადგილობრივ პროცესზე?
3. როგორ მოქმედებს მიგრაცია და ურბანიზაცია მუნიციპალური ტყის მართვის ინიციატივების განხორციელებაზე?
4. კარგად არის გაანალიზებული სოციალურ-კულტურული ნორმები და ღირებულებები სამიზნე ჯგუფებს შორის?
5. არსებობს თუ არა მუნიციპალიტეტის მიწებზე ტყეები ან კონკრეტული ტერიტორიები, რომლებიც ადგილობრივი საზოგადოებისათვის კულტურული, ისტორიული ან რელიგიური მნიშვნელობის მატარებელია, და როგორ უნდა მოხდეს მათი მართვა?
6. არის თუ არა სოციალურ-კულტურული ნორმები და ღირებულებები ინტეგრირებული MFM-ის სტრატეგიასა და პროცესებში?
7. რა საკომუნიკაციო სტრატეგიები შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა ჯგუფის ეფექტური ჩართვისა და ინფორმირებისთვის?

## 6. ტექნოლოგიური ფაქტორები

ტექნოლოგიურმა პროგრესმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს რესურსების განაწილებასა და MFM-ის ეფექტიანობაში. მნიშვნელოვანია, ჩატარდეს კვლევა ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებსა და აღჭურვილობაზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მუნიციპალურ ტყის მართვაში. ასევე, უნდა შეფასდეს მუნიციპალიტეტის შესაძლებლობა ამ ტექნოლოგიების დანერგვისთვის.

ძირითადი კითხვები:

1. რა თანამედროვე ინსტრუმენტები არის ხელმისაწვდომი, რომლებიც შეიძლება იქნას დანერგილი MFM-ში?
2. გამოყენებულია თუ არა ეს ინსტრუმენტები რომელიმე მუნიციპალიტეტში საქართველოში?
3. არსებობს თუ არა საკმარისი ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობები ამ ინსტრუმენტების დასანერგად?

## *დაინტერესებული მხარეები*

მუნიციპალური ტყის მართვის დაინტერესებული მხარეები შეიძლება დაიყოს ძირითად ჯგუფებად და შემდგომ ქვეჯგუფებად. ძირითადი ჯგუფებია: მომხმარებლები, მთავრობა, განვითარების აგენტები, კერძო ინტერესთა ჯგუფები. ყველა ეს ჯგუფი უნდა იყოს ყურადღებით გაანალიზებული, რათა შეიქმნას ეფექტიანი სტრატეგიები მათთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობისთვის.

1. **მომხმარებლები**

მუნიციპალური ტყის მართვის კონტექსტში მომხმარებლები არიან ის აქტორები, რომლებიც ტყის რესურსებზე არიან დამოკიდებულნი სასიცოცხლო საჭიროებების, ბიზნესის ან საზოგადოებრივი სარგებლის მისაღებად. საქართველოში უზუფრუქტისა და ტრადიციული წვდომის უფლებები ტყის რესურსების მართვის განუყოფელი ნაწილი წარმოადგენს. სამართლებრივი თვალსაზრისით, ხანმოკლე იჯარებს—როგორც წესი, ხუთ წელზე ნაკლებს—ხშირად უზუფრუქტის მინიჭებად განიხილავენ, რაც მომხმარებლებს ტყის სარგებლობისა და მისგან სარგებლის მიღების უფლებას აძლევს, მაშინ როცა საკუთრების უფლება სახელმწიფოს რჩება. ამ ფორმალური ჩარჩოს პარალელურად, მრავალ ადგილობრივ საზოგადოებას ხანგრძლივად ჩამოყალიბებული აქვს ტრადიციული წვდომის უფლებები, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს, ტყის რესურსები საარსებო წყაროსთვის, რეკრეაციისთვის და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის, მათ შორის საცხოვრებელი სახლების, მხარდასაჭერად გამოიყენონ. ეს უფლებები, იქნება ეს კანონმდებლობაზე დაფუძნებული თუ ჩვეულებითი პრაქტიკით ჩამოყალიბებული, არაერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ დავას განაპირობებს. ამიტომ, როგორც უზუფრუქტის, ისე ტრადიციული წვდომის უფლებების გათვალისწინება გადამწყვეტია ტყის მართვის ისეთი პოლიტიკის შემუშავებისთვის, რომელიც იქნება არა მხოლოდ სამართლებრივად გამართული, არამედ სოციალურად სამართლიანი და მდგრადი.

ადგილობრივი თემები:

1. ტყეზე არიან დამოკიდებულნი მერქნის, შეშის, საკვების (კენკრა, სოკო) და სამკურნალო მცენარეებისთვის.
2. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არაფორმალურ ტყის გამოყენებასა და კონსერვაციაში.

მცირე და საშუალო მეწარმეები:

1. ბიზნესი, რომელიც ჩართულია სატყეო მეურნეობაში, ავეჯის წარმოებაში ან ტყის არამერქნული პროდუქტების გადამუშავებაში.
2. ოპერატორები ეკოტურიზმში, დასვენებაში ან სათავგადასავლო საქმიანობაში.

კონსერვაციისა და რეკრეაციის მომხმარებლები:

1. არასამთავრობო ორგანიზაციები (NGOs) ან სათემო ჯგუფები, რომლებიც ხელს უწყობენ ბიომრავალფეროვნებას, ეკოტურიზმსა და მდგრად პრაქტიკებს.

2. **მთავრობა**

1. მარეგულირებელი – ქმნის და ახორციელებს ტყის მართვის პოლიტიკას და რეგულაციებს.

2. რესურსების მიმწოდებელი – უზრუნველყოფს ბიუჯეტს, პერსონალს, ინფრასტრუქტურასა და სხვა საჭირო რესურსებს.

3. **განვითარების აგენტები**

ეს აქტორები სისტემაზე გავლენას ახდენენ ან მხარს უჭერენ ფინანსური, ტექნიკური რესურსებით ან ცოდნით.

- საერთაშორისო დონორები

1. დონორული პროექტები (ორმხრივი, მრავალმხრივი)
2. ტყის მართვის რეფორმების, შესაძლებლობების განვითარებისა და ტექნიკური დახმარების მხარდაჭერა.

- არასამთავრობო ორგანიზაციები და ადვოკატირების ჯგუფები:

1. კონსერვაციის, საზოგადოების ჩართულობისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ხელშეწყობა.

- აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტები:

1. ატარებენ კვლევებს მდგრადი სატყეო პრაქტიკების, ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ადაპტაციის შესახებ.
2. უზრუნველყოფენ მონაცემებსა და ექსპერტიზას პოლიტიკის ფორმირებისთვის.

4. **სხვა**

- მედია და აზრის ლიდერები

1. ცნობიერების ამაღლება და ტყის მდგრადი მართვის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაზე გავლენა.

- ტექნილოგიების პროვაიდერები

1. კომპანიები, რომლებიც გვთავაზობენ ტყის მონიტორინგის ინსტრუმენტებს, როგორიცაა GIS პროგრამული უზრუნველყოფა, დრონები ან სატელიტურ მონაცემთა სერვისები.

ჩამოთვლილ აქტორებს შეუძლიათ შეასრულონ სხვადასხვა ფუნქციები. მუნიციპალური ტყის მართვის აქტორების ძირითადი ფუნქციებია:

<table>
<tr><td colspan="2">ცხრილი: ფუნქციები და პასუხისმგებლობები ტყის მართვაში</td></tr>
<tr><td>მარეგულირებელი ფუნქცია</td><td>ეკონომიკური მართვის ფუნქცია</td></tr>
<tr><td>• სატყეო სექტორის პოლიტიკური მმართველობა და სატყეო კანონმდებლობა<br>• ეროვნული სატყეო პროგრამები, სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები<br>• ეროვნული ტყის ინვენტარიზაცია</td><td rowspan="2">• ტყის მართვის გეგმა<br>• ტყის მართვა ტერიტორიებზე, რომლებიც ძირითადად ხის წარმოებისთვისაა განკუთვნილი: ტყის აღდგენა, განახლება, მოვლა და სხვ.<br>• ხის ჭრა და ვაჭრობა</td></tr>
<tr><td>საზედამხედველო ფუნქცია</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| • ზედამხედველობა, ინსპექტირება და კანონის აღსრულება<br>• ტყის დაცვა (ტყის პოლიტიკა) | • ნადირობა და თევზაობა<br>• უძრავი ქონებისა და მიწის გამოყენების მართვა<br>• განახლებადი ენერგიის ბიზნესი<br>• სატყეო ბიზნესი ხისს გარდა |
| **დამხმარე და სოციალური საქონლის შექმნის ფუნქცია** | |
| • გაფართოების სერვისი (ტყის დაგეგმვა ტყის არასახელმწიფო მესაკუთრეთათვის, დაფინანსება, ინფორმაცია, რჩევა)<br>• ტყის დაცვა ბუნებრივი რისკებისგან (ხანძარი, ქარიშხალი, ბაქტერიები)<br>• ტყის მართვა ბუნების პარკებში და დაცვის ფუნქციების მქონე ტერიტორიებზე (წყალი, ნიადაგი და ა.შ.)<br>• ბუნების პარკის ადმინისტრაცია და დაცული ტერიტორიის მართვა<br>• ტყის კვლევის ერთეულები | |

### 3.1.2. შიდა განზომილება

**ორგანიზაციული მოდელის შიდა განზომილება მოიცავს ექვს ძირითად კომპონენტს:** სტრატეგია, სტრუქტურა, კულტურა, ადამიანები, ორგანიზაციული სისტემები და რესურსები.

1. **სტრატეგია**

სტრატეგია ორგანიზაციის მიმართულებას, განსაზღვრავს მისი მისიისა და ხედვის შესაბამისობასა და ადაპტირების უნარს.

ძირითადი კითხვები:

- არსებობს თუ არა განსაზღვრული სტრატეგია?
- აქვს თუ არა ორგანიზაციას მკაფიოდ ჩამოყალიბებული მისია და ხედვა?
- არის თუ არა სტრატეგიული მიზნები კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში შეზღუდული (SMART პრინციპი)?
- როგორ ხდება სტრატეგიის კომუნიკაცია და რამდენად კარგად ესმით იგი ორგანიზაციის ყველა დონეზე?
- არსებობს თუ არა მექანიზმი სტრატეგიის გადახედვისა და ადაპტაციისთვის შიდა და გარე ფაქტორების მიხედვით?
- გათვალისწინებულია თუ არა სტრატეგიაში გრძელვადიანი მდგრადობა და ინოვაციები?

– გააჩნია თუ არა ორგანიზაციას შიდა ექსპერტიზა სტრატეგიის შემუშავებისა და შეფასებისთვის?

## 2. სტრუქტურა

სტრუქტურა განსაზღვრავს ორგანიზაციის იერარქიულ მოწყობას, დეპარტამენტების ურთიერთკავშირსა და სამუშაო პროცესებს. სტრუქტურა უნდა ეფუძნებოდეს ფუნქციას, რაც ნიშნავს, რომ პირველ რიგში უნდა განისაზღვროს მიზნები, ხოლო შემდეგ – მათი მიღწევის გზები.

ძირითადი კითხვები:

- არის თუ არა ორგანიზაციული სტრუქტურა მკაფიოდ განსაზღვრული და შეესაბამება თუ არა სტრატეგიულ მიზნებს? გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესები?
- მკაფიოდ არის თუ არა დოკუმენტირებული და გასაგები დეპარტამენტებისა და თანამშრომლების როლები და პასუხისმგებლობები?
- რამდენად ეფექტურია კომუნიკაცია და კოორდინაცია სხვადასხვა განყოფილებებს შორის?
- სტრუქტურა უზრუნველყოფს თუ არა მოქნილობას და სწრაფ რეაგირებას გარემოს ცვლილებებზე?
- გენდერულად მგრძნობიარე დაგეგმვა გათვალისწინებულია თუ არა, რათა ორივე სქესის საჭიროებები და წვლილი ადეკვატურად შეფასდეს?
- არსებობს თუ არა მკაფიო ანგარიშგების ხაზები და პასუხისმგებლობის მექანიზმები?
- ინტეგრირებულია თუ არა გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის (GESI) პრინციპები შესრულების შეფასებასა და ანგარიშვალდებულების ჩარჩოებში?
- გავლენას მოახდენს თუ არა MFM მიმდინარე ორგანიზაციულ სტრუქტურაზე? საჭიროა თუ არა სპეციალური ერთეულის შექმნა და როგორ უნდა იყოს იგი ეფექტიანად ორგანიზებული?

**პოტენციური გამოწვევები**

- მმართველობისა და ანგარიშვალდებულების ხარვეზები
- სამთავრობო ორგანოებს, ადგილობრივ ხელისუფლებასა და თემებს შორის კოორდინაციის საკითხები

## 3. კულტურა

კულტურა განსაზღვრავს ორგანიზაციის ღირებულებებს, მენეჯმენტის სტილს, თანამშრომელთა ჩართულობასა და სამუშაო ნორმებს.

ძირითადი კითხვები:

- აქვს თუ არა თანამშრომლებს საჭირო კომპეტენციები ორგანიზაციის მიზნების, განსაკუთრებით მუნიციპალური ტყის მართვის განხორციელებისთვის?
- როგორ შეუძლია ორგანიზაციას უზრუნველყოს, რომ ქალებსა და მამაკაცებს თანაბრად ჰქონდეთ საჭირო უნარ-ჩვევები MFM-თან დაკავშირებულ როლებში?

- რამდენად ეფექტიანია ორგანიზაცია კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების კუთხით? რა პერსპექტივები არსებობს MFM-ის კონტექსტში?
- გააჩნია თუ არა ორგანიზაციას გენდერულად მგრძნობიარე დასაქმების პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს სამუშაო ძალაში მრავალფეროვნებას?
- არსებობს თუ არა სტრუქტურირებული სწავლისა და განვითარების პროგრამები თანამშრომლებისთვის? არის თუ არა რესურსები MFM-თან დაკავშირებული განათლების უზრუნველსაყოფად?
- ხორციელდება თუ არა ქალთა მონაწილეობის წახალისება სატყეო ტექნიკურ გადამზადებაში, ლიდერულ სემინარებში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში?
- რა მექანიზმებია შექმნილი, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანამშრომლების MFM-თან დაკავშირებული აქტიური ჩართულობა?

**პოტენციური გამოწვევები**

- არ არსებობს ადგილობრივ საჭიროებებზე დაფუძნებული ადაპტური მართვის ჩარჩო.

### 4. ხალხი

ორგანიზაციულ მოდელში ხალხის ფაქტორი განსაზღვრავს თანამშრომელთა უნარებს, ორგანიზაციის შესაძლებლობას მოიზიდოს და შეინარჩუნოს კადრები და უზრუნველყოს განგრძობადი სწავლება და განვითარება.

ძირითადი კითხვები:

- აქვს თუ არა თანამშრომლებს საჭირო კომპეტენციები ორგანიზაციული მიზნების, განსაკუთრებით MFM-ის მიღწევისთვის?
- როგორ შეუძლია ორგანიზაციას უზრუნველყოს, რომ ქალებსა და მამაკაცებს თანაბრად ჰქონდეთ წვდომა და შესაძლებლობა MFM-თან დაკავშირებული უნარების განვითარებისთვის?
- რამდენად ეფექტიანია ორგანიზაცია კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების კუთხით? როგორია პერსპექტივები MFM-ის კონტექსტში?
- გააჩნია თუ არა ორგანიზაციას გენდერულად მგრძნობიარე დასაქმების პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს სამუშაო ძალაში მრავალფეროვნებას?
- არსებობს თუ არა სტრუქტურირებული სწავლებისა და განვითარების პროგრამები თანამშრომლებისთვის? არის თუ არა სათანადო რესურსები MFM-თან დაკავშირებული სწავლების უზრუნველსაყოფად?
- ხორციელდება თუ არა ქალთა მონაწილეობის წახალისება სატყეო ტექნიკურ გადამზადებაში, ლიდერულ სემინარებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში?
- რა მექანიზმებია შექმნილი, რათა თანამშრომელთა ჩართულობა MFM-თან დაკავშირებულ პროცესებში უზრუნველყოფილ იქნას?

წინასწარი კვლევით გამოვლენილია, რომ მუნიციპალიტეტებში კვალიფიციური კადრების პოვნა სატყეო მართვასთან დაკავშირებული საქმიანობისთვის განსაკუთრებით რთულია, შესაბამისად, თანამშრომლების მოზიდვის სისტემა უნდა იყოს დეტალურად დაგეგმილი და ეფექტიანად განხორციელებული.

**პოტენციური გამოწვევები**

- მუნიციპალიტეტებს შესაძლოა არ გააჩნდეთ ექსპერტიზა და რესურსები ხარჯ-სარგებლის ანალიზის (CBA), რისკების შეფასებისა და სტრატეგიული დაგეგმვისთვის.
- მუნიციპალიტეტებისთვის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად არ არის გათვალისწინებული შესაძლებლობების განვითარების ზომები ტრანსფერის პროცესის განმავლობაში და მის შემდეგ.
- ტყის მმართველობის ტექნიკური სირთულეები შესაძლოა მუნიციპალური ადმინისტრაციებისთვის გადამეტებულად რთული აღმოჩნდეს, რაც არაეფექტიან მართვამდე მიგვიყვანს.
- ქალები ხშირად ნაკლებად არიან წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიღების პროცესებსა და ტექნიკურ პოზიციებზე მუნიციპალური სატყეო მართვის ფარგლებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დისბალანსი, რესურსების არათანაბარი განაწილება და ქალთა არასაკმარისი წარმომადგენლობა ამ სფეროში.

## 5. სისტემები

მუნციიპალური ტყის მართვის სისტემური ასპექტი მოიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს: PR & თანამშრომლობა, პოლიტიკა, პროცედურები და ინსტრუქციები, მონიტორინგისა და ანტიკორუფციული სისტემა, შესრულების მართვის სისტემა. ეს სისტემები ურთიერთდაკავშირებულია და დინამიურად ახდენენ გავლენას ორგანიზაციის სხვა ელემენტებზე.

- PR & თანამშრომლობა – მჭიდროდ არის დაკავშირებული დაინტერესებული მხარეების ჩართულობასთან, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და პარტნიორობების გაძლიერებასთან. იგი ასევე ასრულებს მნიშვნელოვან როლს საჩივრების მექანიზმების პოპულარიზაციასა და არალეგალური ტყის საქმიანობისა და გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის (GESI) საკითხებზე ცნობიერების ამაღლებაში, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ინკლუზიურობას.
- შესრულების მართვის სისტემა – პირდაპირ არის დამოკიდებული ადამიანურ რესურსებზე და მათი კომპეტენციების დონეზე, რაც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას და ეფექტიანობას. სისტემა უნდა მოიცავდეს GESI-მექანიზმებს, რათა ხელი შეუწყოს თანასწორ მონაწილეობას, მრავალფეროვნებას და სამართლიან მოპყრობას სატყეო მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.
- მონიტორინგისა და ანტიკორუფციული სისტემა – დაკავშირებულია ეთიკური ზედამხედველობისა და აღსრულების მექანიზმებთან. მას შესაძლოა მოიცავდეს ცხელი

ხაზი ან სხვა მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც საზოგადოებასა და დაინტერესებულ მხარეებს მისცემს საშუალებას კონფიდენციალურად შეატყობინონ ტყის არალეგალური საქმიანობები, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

- პოლიტიკა, პროცედურები და ინსტრუქციები – აერთიანებს ანტიკორუფციულ, შესრულების მონიტორინგისა და რეგულაციების დაცვის ასპექტებს, რაც ქმნის სტრუქტურირებულ საოპერაციო ჩარჩოს. ისინი ასევე განსაზღვრავენ საჩივრების განხილვის მექანიზმებს, GESI-თან დაკავშირებული საკითხების მართვის პროტოკოლებს, არალეგალური ტყის საქმიანობის საწინააღმდეგო ღონისძიებების აღსრულების სახელმძღვანელო პრინციპებს, ამ სისტემების ეფექტური ფუნქციონირება აუცილებელია MFM-ის გამჭვირვალე, ინკლუზიური და მდგრადი მართვისთვის.

ამ სისტემების ეფექტური ფუნქციონირება აუცილებელია MFM-ის გამჭვირვალე, ინკლუზიური და მდგრადი მართვისთვის.

ძირითადი კითხვები:

- პოლიტიკა და პროცედურები მკაფიოდ არის თუ არა დოკუმენტირებული, ხელმისაწვდომი და რეგულარულად განახლებადი?
- რა პოლიტიკა, პროცედურები და ინსტრუქციები უნდა შემუშავდეს MFM-ისთვის?
- რამდენად ძლიერია ორგანიზაციის მონიტორინგისა და შესრულების მართვის სისტემები?
- როგორი იქნება MFM-თან დაკავშირებული შესრულების მართვის მოდელი?
- რა ზომებია მიღებული თაღლითობისა და კორუფციის პრევენციისა და აღმოსაფხვრელად?
- რამდენად ეფექტიანია კომუნიკაციის სისტემები როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე გარე დაინტერესებულ მხარეებთან?
- რამდენად ეფექტიანად იყენებს ორგანიზაცია ტექნოლოგიას ოპერაციების გაუმჯობესებისთვის?
- არის თუ არა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის სისტემები პროაქტიული და შედეგიანი MFM-ის კონტექსტში?

## 6. რესურსები

რესურსების კომპონენტი მოიცავს ფიზიკურ (ქონება და ინვენტარი) და ფინანსურ რესურსებს, რომელზეც გავლენას ახდენს ბიუჯეტირების პრაქტიკა და დაფინანსების წყაროები.

ძირითადი კითხვები:

- არსებული ფინანსური რესურსები საკმარისია თუ არა და ეფექტიანად არის თუ არა განაწილებული სტრატეგიული მიზნებისა და MFM-ის მხარდასაჭერად?
- ბიუჯეტირების პრაქტიკა ეფუძნება თუ არა პრიორიტეტებსა და სტრატეგიულ მიზნებს?
- რა ინვენტარი და ფიზიკური აქტივებია აუცილებელი MFM-ისთვის და როგორ შეიძლება მათი მოპოვება?

– არსებობს თუ არა სისტემები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ და ოპტიმიზაციას ახდენენ რესურსების განაწილებას?

**პოტენციური გამოწვევები**

• არ არის სახელმწიფო ფინანსური ვალდებულება გადაცემული ტყეებისთვის.

• შემოსავლების გამომუშავება არ არის გარანტირებული, რაც მუნიციპალურ ტყეებს დაუცველს ხდის არასაკმარისი დაფინანსების ან გადაჭარბებული ექსპლუატაციის მიმართ.

• ფინანსური წახალისების არარსებობამ შესაძლოა ხელი შეუშალოს მუნიციპალიტეტებს ტყეების აქტიური მართვისგან.

## 3.2. მუნიციპალური ტყის მართვის ინსტიტუციური მოწყობის დანერგვის პროცესის დიზაინი

*ეს თავი წარმოადგენს რეკომენდებული ინსტიტუციური მოდელის განხორციელების ჩარჩოს მუნიციპალური ტყის მართვისთვის (MFM). ამ ნაწილში წარმოდგენილია პრაქტიკული გეგმა, რომელიც განსაზღვრავს, როგორ უნდა გადაიქცეს რეკომენდაციები კონკრეტულ ქმედებებად, რათა უზრუნველყოს შემოთავაზებული ინსტიტუციური რეფორმების ეფექტიანი განხორციელება საქართველოში.*

დოკუმენტი მოცავს **ეტაპობრივ მიდგომას**, რომელიც შედგება ექვსი ძირითადი ეტაპისგან მუნიციპალური ტყის მართვის (MFM) ეფექტიანი ინსტიტუციური მოწყობის განვითარებისათვის. ინსტრუქცია ასევე განსაზღვრავს პროცესებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც აუცილებელია ინსტიტუციური მოდელის ფორმირებისა და მისი ძირითადი ელემენტების განსაზღვრისთვის, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალური ტყის მართვის ეფექტიანობას. ინსტიტუციური მოდელის განვითარება ეფუძნება გარე ფაქტორებისა და შიდა პროცესების ინტეგრირებას, რაც შექმნის კოორდინირებულ სტრატეგიას ტყის მდგრადი მმართველობის უზრუნველსაყოფად.

*დიაგრამა 2 - პროცესის დიზაინის ეტაპები*




აღსრულების პროცესზე გადასვლამდე საწყისი ნაბიჯი არის სამი ძირითადი ელემენტის იდენტიფიცირება: **მონაწილეები, რესურსები და ვადები.** პირველი ნაბიჯი არის გუნდის შეკრება და გუნდის სტრუქტურის განსაზღვრა, რომელიც ჩართული იქნება მოდელის შემუშავების პროცესში, მონაწილეების, გუნდის ლიდერებისა და ხელმძღვანელების ჩათვლით.

1. **მონაწილეები:** განსაზღვრეთ, ვინ იქნება ჩართული პროცესში, მათ შორის გუნდის წევრები და გარე დაინტერესებული მხარეები. მონაწილეები უნდა მოიცავდნენ პასუხისმგებელ (R)

მხარეს, რომელიც ხელმძღვანელობს პროცესს და პასუხისმგებელია ამოცანის საბოლოო შედეგზე.

2. **რესურსები:** შეაფასეთ მატერიალური რესურსები (მაგალითად, ფინანსური ან ტექნიკური საშუალებები) და არამატერიალური რესურსები (მაგალითად, დრო და ცოდნა), რომლებიც საჭირო იქნება განხორციელებისთვის.
3. **ვადები:** განსაზღვრეთ რეალისტური გრაფიკი ამოცანების შესრულებისა და ძირითადი ეტაპების მიღწევისთვის.

**მონაწილეობაზე დაფუძნებული მიდგომა** გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მთელ პროცესში, რათა უზრუნველყოს ინკლუზიურობა, გენდერული თანასწორობა და თანამშრომლობა. ეს მიდგომა ხელს უწყობს ერთობლივი პასუხისმგებლობის ფორმირებას, დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღებას და მდგრად და ფართოდ აღიარებულ შედეგებს.

შემდეგი განყოფილება აანალიზებს მოდელის თითოეულ ელემენტს ცალკე და იძლევა ინსტრუქციებს იმის შესახებ, თუ რა ინფორმაცია უნდა შეგროვდეს და გაანალიზდეს და როგორ უნდა გაკეთდეს.

ეტაპი 1: დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და თანამშრომლობა

**მონაწილეები:** გარე კონსულტანტი (R), კონტრაქტორი მხარე, ბენეფიციარი, დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები.

**რესურსები:** შეიძლება მოიცავდეს ლოგისტიკურ ხარჯებს, კომუნიკაციის პლატფორმებზე ხელმისაწვდომობას.

**დრო:** 1-2 კვირა.

პირველი ნაბიჯი არის ძირითადი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების იდენტიფიკაცია. იდენტიფიკაციის შემდეგ, პასუხისმგებელმა მხარემ უნდა განსაზღვროს დაინტერესებული მხარეების როლები, პასუხისმგებლობები და თანამშრომლობის მექანიზმები. მიზანია მათი გავლენის, ინტერესებისა და როლების კლასიფიკაცია და გააზრება MFM-ის პროცესში.

**მონაცემთა შეგროვების მეთოდები[8]:** სამაგიდო კვლევა, მონაცემთა მოთხოვნა, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები

**პროცესის აღწერა:**

[8] მონაცემთა შეგროვების მეთოდებზე დეტალური ინფორმაციისთვის გთხოვთ გაეცნოთ: ცარციძე, დ. (2023). კვლევის მეთოდების და მონაცემთა ანალიზის გზამკვლევი. საქართველოს საჯარო სამსახურის ბიურო.

- ➔ **ქმედება 1:** კომუნიკაცია კონტრაქტორ მხარესთან და ბენეფიციართან წინასწარი ინფორმაციის შეგროვებისთვის, მათ შორის პოტენციური დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია, წინა ანგარიშები და მონაცემთა შესაძლო წყაროები.
- ➔ **ქმედება 2:** სამაგიდო კვლევის განხორციელება საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტების საფუძველზე და ინფორმაციის შეგროვება განსხვავებული წყაროებიდან.
- ➔ **ქმედება 3:** სამაგიდო კვლევის დაზუსტება და გაფართოება ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების მეშვეობით, რათა გამოვლინდეს დამატებითი (მეორეული) დაინტერესებული მხარეები.
- ➔ **ქმედება 4:** დაინტერესებული მხარეების კატეგორიზაცია ისეთი მოდელების გამოყენებით, როგორიცაა გავლენა-ინტერესის მატრიცა ან RACI მატრიცა (განსაზღვრული ამ სექციაში ქვემოთ).
